საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. № 98 (642) ხუთშაბათი, 13 მაისი, 1993 წელი ფასი 5 კუპონი.

პირველი სვეტი

ცნობები აფხაზეთიდან

11 მაისს მდინარე გუმისთაზე ფრონტის მთელ ხაზზე წარმოებდა პოზიციური ბრძოლები მსხვილკალიბრიანი და ავტომატური იარაღის გამოყენებით. 14 საათსა და 30 წუთზე აფხაზეთის მხარემ დაიწყო სოხუმის მორიგი ბარბაროსული საარტილერიო დაბომბვა. ქალაქის სხვადასხვა წერტილში აფეთქდა შვიდი ჭურვი. დაიჭრა აფხაზური ეროვნების ერთი მოქალაქე. 17 საათისათვის აფხაზმა სეპარატისტებმა და მათმა დაქირავებულებმა კვლავ განაახლეს სროლა. ექვსი ჭურვი აფეთქდა საცხოვრებელ უბნებში, რის შედეგადაც დაიჭრა ორი მშვიდობიანი მცხოვრები. საღამოს 19 საათისათვის აფხაზეთის მხარემ სოფელ ეშერის რაიონში თავი მოუყარა მძიმე ტექნიკას და ცეცხლი დაუშინა ქართული ჯარების პოზიციებს. დაიწყო საკმაოდ აქტიური პოზიციური ბრძოლა, და ქართველმა არტილერისტებმა, რომლებიც თანამიმდევრულად ახშობდნენ საცეცხლე წერტილებს, აიძულეს დაპირისპირებული მხარე ცეცხლი შეეწყვიტა. ღამემ მდინარე გუმისთაზე შედარებით მშვიდად ჩაიარა. არ ყოფილა სროლა დღეს, 12 მაისის დილითაც.

12 მაისს მიღწეული მორიგების შესაბამისად, 11 მაისს სოხუმში ჩამოვიდა სომხეთის რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დელეგაცია სომხეთის რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავდაცვის საკითხთა და შინაგან საქმეთა კომისიის თავმჯდომარის გევორქ ბაღდასარიანის ხელმძღვანელობით. დელეგაციის შემადგენლობაში რვა კაცია. მისი ძირითადი მიზანია გაარკვიოს აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრებ სომეხთა მდგომარეობა. ისახება აგრეთვე ამოცანა გაიხსნას სომხეთის წარმომადგენლობა აფხაზეთში, რომელიც ხელს შეუწყობს კონფლიქტის ზონაში მცხოვრებ სომეხთა გაყვანას.

დელეგაციის წევრები შეხვდნენ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს თამაზ ნადარეიშვილს, რომელმაც სომხეთის დელეგაციას აღუთქვა, რომ აფხაზეთის მთავრობა მათ ყოველნაირ დახმარებას გაუწევს.

თენგიზ ჯიბუტი.

12 მაისს, 13 საათსა და 05 წუთზე აფხაზ სეპარატისტთა მხარემ კვლავ მასირებულად დაუშინა სოხუმის მჭიდროდ დასახლებულ უბნებს „გრადის“ რეაქტიული საარტილერიო დანადგარის ჭურვები. ქალაქში აფეთქდა დაახლოებით 40 ჭურვი. წინასწარი მონაცემებით, დაინგრა ოცამდე საცხოვრებელი სახლი და სამეურნეო ობიექტი. ამის შედეგად დაიღუპა სამი და დაიჭრა 8 მშვიდობიანი მცხოვრები. საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების საპასუხო ცეცხლის შემდეგ სროლა შეწყდა.

ეს ცნობები, რომლებიც საქინფორმში გადმოსცა საინფორმაციო-ანალიზურმა ცენტრმა „აისმა“, ასახავენ 14 საათისა და 30 წუთისათვის მომხდარ ამბებს.

ოჩამჩირის რაიონში დღის განმავლობაში უმნიშვნელო პოზიციური ბრძოლები მიმდინარეობდა, საღამოსათვის აფხაზი სეპარატისტები გააქტიურდნენ, მათ ჩვენს პოზიციებს დაუშინეს ცეცხლი ნაღმსატყორცნებიდან და ავტომატური იარაღიდან, ბრძოლები ძირითადად მიმდინარეობდა სოფელ მერკულასთან, ტამიშსა და რეკასთან, ჩვენი მეომრები საპასუხო ცეცხლით უპასუხებდნენ. მიმდინარე ბრძოლებს პოზიციური ცვლილებები არ მოჰყოლია.

იოსებ გოგეჩია.

ამ დღეებში

გვატყობინებენ „საქართველოს რესპუბლიკის“ და საქინფორმის კორესპონდენტები

ფაქტი მოვლენა კომენტარი

ჩვეულებრივად... ოღონდ უშეცდომოდ

ამჯერადაც ყველაფერი შედარებითია და პარლამენტის გუშინწინდელი სხდომა წინასაგან განსხვავებით, რომელიც მიზეზთა არა მრავალთა, არამედ ერთისა გამო წარმომადგენლობის თვალსაზრისით რეკორდული იყო (პრესის სექტორში ადგილები რომ აღარ იყო თავისუფალი, კოლეგები კიბეებზე ისხდნენ) ნამდვილ ოაზისად მოგეჩვენებოდათ. თუმცაღა არც წინა სხდომაზე გაშიშვლებულა ხმლები, როგორც ბევრი ვარაუდობდა (ზოგსაც ეშინოდა). ასე რომ, ისინი, ვინც სეირის საყურებლად გაისარჯნენ და მოვიდნენ, გაწბილებულნი დარჩნენ. კი, კი, სიტყვა არ შემშლია, სწორედ სახეიროდ.

ყველაფერი შედარებითია-მეთქი, ბევრი რამ კიდევ მიჩვევაზეც არის. ჩვენ ისე მივეჩვიეთ სისხლიანი სეირების ყურებას, რომ სიმშვიდეს უკვე ვეღარ ვიტანთ. „ამისთვის მოვედით?“ — გულნაკლულმა შესჩივლა ერთი, ჩვენი მოსახლეობის გარკვეულ ფენებში პოპულარული, გაზეთის რედაქტორმა თავის თანამშრომელს სხდომის ბოლოს.

გუშინწინდელ სხდომაზე კი, რომელზეც უფრო პროზაული (საქმიანი) საკითხები განიხილებოდა, იმ და მისი სულიერი მოძმე გაზეთებიდან წარმომადგენლები ვეღარ შევნიშნე.

ახლა კი თვით საქმეზე: მოგეხსენებათ, დღეს საქართველოში საკითხები ორად არის გაყოფილი — ასე ვთქვათ ფრონტის და ზურგის პრობლემები. საკითხი, რომლითაც სხდომა დაიწყო, მეორის რიგს განეკუთვნება — ბატონმა ვახტანგ ხმალაძემ გააკეთა მოხსენება „საარჩევნო პრინციპების შესახებ“.

იმის თაობაზე, რომ საქართველოში ახლო მომავალში უთუოდ უნდა გაიმართოს ქალაქის მერების, რაიონების გამგებლების და სოფლების მამასახლისთა არჩევნები, დეპუტატებს თითქმის კონსესუსი ჰქონდათ (მხოლოდ ქართლოს ღარიბაშვილმა დააყენა კითხვის ნიშნის ქვეშ საერთოდ საომარ ვითარებაში მყოფ ქვეყანაში არჩევნების საკითხი). აზრთა სხვაობა ძირითადად არჩევნების სისტემამ გამოიწვია. შემოთავაზებული ორი სისტემიდან — მაჟორიტარული და ერთადერთი ხმის გადაცემის პრინციპი, ზოგიერთი დეპუტატის გემოვნებას ერთი მიესადაგა, ზოგიერთისასაც — მეორე. ორივე ფლანგს, რასაკვირველია, თავთავიანთი არგუმენტები ჰქონდათ: მაჟორიტარულის მომხრეებს (რუსუდან ბერიძე, გიორგი ხავთასი, გივი ჯეირანაშვილი, ნუგზარ ნადარაია და ამ სისტემით არჩეულ დეპუტატთა უმეტესი ნაწილი) — მისი სიმარტივე და ობიექტურობის დაცვის მეტი შანსი — აგრეთვე პარტიებს შორის მოსალოდნელი დაპირისპირების თავიდან აცილების შესაძლებლობა; ხოლო ერთადერთი ხმის გადაცემის სისტემის მომხრეებს (ვახტანგ ხმალაძე, ნიაზ ჯეირანაშვილი და სხვ.) ის, რომ ამ დროს არჩევნების მეორე ტურის მოწყობის აუცილებლობა აღარ არის, რადგან პირველ ტურში ნუმერაციით რამდენიმე კანდიდატურის შემოხაზვით ამომრჩევლის ნება მთლიანად გამოხატულია და შემდეგი ტურის მოუწყობლად გამარჯვებული გამოვლინდება. ეს მნიშვნელოვანწილად ამცირებს არჩევნებისთვის საჭირო თანხებს, რაც მძიმე ეკონომიკურ კრიზისში მყოფი ქვეყნისთვის ესოდენ ანგარიშგასაწევი ფაქტორია.

ორივე მხარის მოსმენისას სურვილი დამებადა ვინმემ ისეთი სისტემა აღმოაჩინოს, რომელშიც ამ ორივედან მხოლოდ დადებით მომენტებს ამოკრეფდა და უარყოფითებს უკუაგდებდა-მეთქი. სურვილები, იცოცხლეთ, კომუნიზმის აშენებაზე ოცნებისა არ იყოს, კარგი რამეა...

საკითხი ღიად დარჩა. მით უმეტეს, რომ ფრაქცია „ეროვნულ-დემოკრატის“ სახელით გამოსულმა გიორგი კობახიძემ თქვა, რომ მათ აქვთ საარჩევნო სისტემის ალტერნატიული ვარიანტი, რომელსაც პარლამენტი მალე განიხილავს.

— დღეს ამ საკითხის განხილვაზე დახარჯული დრო დაკარგული არ არის — თქვა თავის გამოსვლაში ბატონმა ვახტანგ გოგუაძემ. — ეს იმდენად მნიშვნელოვანი საკითხია ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში როგორც დღეს, ასევე სამომავლოდ, რომ დაწვრილებით უნდა იქნეს გაანალიზებული. ჩვენ შეცდომების უფლება აღარ გვაქვს. შემდეგ სპიკერმა კოლეგებს ერთი ბიბლიური თქმულება გაახსენა: როდესაც ქრისტეს გამოცდის დროს სატანამ უთხრა, აბა ამ სახლის სახურავიდან არაჩვეულებრივად ჩამოდიო, ძე ღმერთმა მიუგო მას: „რად უნდა ჩამოვიდე არაჩვეულებრივად, როდესაც შეიძლება ჩვეულებრივად ჩამოვიდეო“. აი, ამ ჩვეულებრივ ჩამოსვლის დროს აღარ უნდა დავუშვათ არაჩვეულებრივი გადაცდომები, როგორც აქამდე არაერთხელ დაგვიშვია. ჩვენი ამოცანის სირთულეც ამაშია, ვინაიდან უკვე დადგა დრო, არჩევნებმა ხალხის ჭეშმარიტი ნება გამოხატოს და არა სხვა ვისიც გინდა — პარტიების, გინდ ხელისუფლებისა.

საქართველოს პარლამენტის სადაგი დღეები

საღამოს სხდომაზე მოისმინეს ბატონ ირაკლი შენგელაიას ინფორმაცია „ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის“, „ერთიანი ტერმინებისა და სახელწოდებების“, „სამხარეო ადმინისტრაციის“ შესახებ კანონების შესახებ. აღინიშნა, რომ საკითხი მეტად მნიშვნელოვანია და სერიოზული კამათია მოსალოდნელი. ამიტომ იგი შემდეგი სხდომისთვის გადადეს.

მოისმინეს აგრეთვე „საქართველოს რესპუბლიკის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ“ კანონის პროექტი. საკითხზე მსჯელობა გამწვავდა, ამიტომ გადაწყდა, საკითხი დამატებით შესწავლილ იქნეს და გამოვიდეს შემდეგ სხდომაზე დასამტკიცებლად.

გამოცოცხლება გამოიწვია საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს 1992 წლის 7 მაისის № 10 დადგენილების შესახებ დადგენილების განხილვამ, რომელზეც მოხსენება ზურაბ ნოღაიდელმა გააკეთა. პარლამენტმა მოიწონა წარმოდგენილი პროექტი, რომლის მიხედვითაც რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროსათვის გადასაცემი ობიექტების ნუსხიდან ამოღებულ იქნეს ნაკრძალები, სამონადირეო და სატყეო მეურნეობები, ტბები, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გადამამუშავებელი და შესაბამისი საწარმოები. მაგრამ აღინიშნა რა, რომ ამ საკითხთან სხვა მნიშვნელოვანი საკითხებიც არის დაკავშირებული (მაგალითად, სასაზღვრო ზოლი და ა. შ.), გადაწყდა, საკითხი კომპლექსურად შეისწავლონ და განსახილველად გამოიტანონ ორი კვირის შემდეგ.

სხდომის ბოლოს ორი საკითხის — „რესპუბლიკაში კუპონების მიმოქცევის“ და „ეროვნული ბანკისა და ფინანსთა სამინისტროს ინფორმაცია 1992 წელს და 1993 წლის პირველ კვარტალში სავალუტო სახსრების ხარჯვის შესახებ“ განხილვის შემდეგ, რომლის გამო სხდომაზე მოწვეულნი იყვნენ რესპუბლიკის ვიცე-პრემიერი რომან გოცირიძე, ფინანსთა მინისტრი კახი პოპიაშვილი და ეროვნული ბანკის პრეზიდენტი დემურ დვალიშვილი, სხდომა დახურულად გამოაცხადეს.

გალინა ხარებაშვილი,
„საქართველოს რესპუბლიკის“ საპარლამენტო კორესპონდენტი.

პოზიცია: ავად გახმაურებული „103-თა მიმართვის“ გამო

უწინარესად საქართველოს მომავალზე უნდა ვფიქრობდეთ

გაზეთ „იბერია-სპექტრში“ გამოქვეყნებულმა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 103 თანამშრომლის მიმართვამ ბატონ ედუარდ შევარდნაძისადმი სათანადო შეფასება მიიღო, როგორც გაზეთის რედაქციის მორიგმა მცდელობამ — შეცდომაში შეიყვანოს საზოგადოებრივი აზრი. ამასთანავე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ოფიციალურ განცხადებაში აშკარად გამოჩნდა, როგორი იმედითა და რწმენით უყურებს ჩვენი ნამდვილი ინტელიგენცია ბატონი შევარდნაძის მოღვაწეობას საქართველოს ამ ურთულეს ვითარებაში, როცა გაჭირვებაში მყოფი ჩვენი სამშობლო ჩვენგან ერთსულოვანებასა და ერთიან ძალისხმევას მოითხოვს. უნივერსიტეტის ცალკეულ მოღვაწეთა არცთუ მცირე რაოდენობით დაბეჭდილ საგაზეთო წერილებში გამოთქმულია აღშფოთება „იბერია-სპექტრის“ რედაქციის, რბილად რომ ვთქვათ უპასუხისმგებლო საქციელით და სამართლიანად დასმულია კითხვა: „ვის რას ვარგებთ“ და „ვისთვის რას ვიტყვით“.

მაგრამ ამავე დროს ჩვენ მოკლებული ვართ სრულ პასუხს მეორე კითხვაზეც, რომელსაც აღძრავს დღეს საზოგადოებისა და ხალხის მდგომარეობა და ყველა ჩვენგანის სინდისი: „ვინ არის ვინ?“.

ვინც არის ზვიად გამსახურდია, მე მგონია, დღეისათვის მაინც ყველასათვის აშკარა გახდა და პასუხი ძიებას არ საჭიროებს: კაცი, რომელიც ცდილობს თავისივე სამშობლოში ხელი შეუწყოს არეულობის, მოშლილობის შექმნას ეკონომიკაში, მრეწველობაში, უკიდურესად გაურთულოს არსებობა მშობელ ხალხს დაუმორჩილებლობისა და ტერორის ქადაგებით, არ შეიძლება იყოს ჭეშმარიტი პატრიოტი!

ასევე ნათელია, ვინ არის გაზეთის რედაქტორი, რომელიც ცრუობს, ცდილობს 103-კაციანი კოლექტივის განცხადება მსოფლიოში რესპუბლიკის მეცნიერთა სახელით გაასაღოს და მაშინ, როცა ქვეყნის გასაჭირის დღეებში ვალდებულია მოუწოდებდეს ხალხს კონსოლიდაციისკენ, სამშობლოს კეთილდღეობისათვის ერთიანი ძალისხმევისკენ, პრაქტიკულად ღალატობს ერთიანობის იდეას, თითქოს ერთიანობა დემოკრატიზმის საპირისპირო ცნება იყოს. სავსებით დასაშვებია, რომ 103 და მეტ ადამიანსაც ჰქონდეს თავისი საკუთარი შეხედულება სახელმწიფოს მართვის მეთოდსა და გზებზე არსებულ რთულ მდგომარეობაში. თუ ასეთი ჯგუფი არსებობს და მას მხარს უბამს გაზეთი, მაშინ ამ ჯგუფმა უნდა გამოაცხადოს თავისი გეგმა და იმავდროულად იკისროს კვალიფიციური პასუხისმგებლობა მის შესრულებაზე (მაშინ გამოჩნდება ჯგუფის კომპეტენტურობა და სანდოობაც). თუ ეს ასე არ არის, მაშინ იმ ჯგუფის მხარდაჭერა და არსებული ხელისუფლებისადმი დაპირისპირება უზნეობაა. და, ის, ვინც ანგარიშს არ უწევს დღევანდელი მეთაურის საშინაო და საგარეო ავტორიტეტს, მის მართლაც თავგანწირულ შრომას, მის გააზრებულ და დასაბუთებულ გეგმას, რომლის განხორციელებაზე პასუხისმგებლობაც აქვს აღებული, ვინც ხელშეწყობის ნაცვლად ხელს უშლის მას, ვინ არის — პატრიოტია?...

განა პატრიოტი შეიძლება ეწოდოს კაცს, რომელიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს უდიერად იხსენიებს და უზრდელ სიტყვებს ჰკადრებს, რაც ამას წინათ პროფესორის ბატონ ნოდარ ლომოურის ამავე გაზეთში გამოქვეყნებულ წერილიდან გავიგეთ და გაკვირვებულნი და აღშფოთებულნი დავრჩით. როგორი პატრიოტია იგი?... თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი ხომ თვით საქართველოა, ტაძარია, რომლის სახელს ყოველი დიდად თუ ნაკლებად განათლებული ქართველი, თუნდაც არცთუ განათლებული, მაგრამ ბუნებით ბრძენი და ზრდილი გლეხი და მოქალაქე ელოლიავება, პატივს სცემს, აიდეალებს.

მიმდინარე წელი სათნოების წლად გამოცხადდა. ეს კარგია, მაგრამ სათნოებისა და დემოკრატიზმის გავრცელებას ერთი საერთო გზა აქვს. ამიტომ იმას, რაც ამ გზაზე მათი მსვლელობის შემაფერხებელია — ბოროტმოქმედებანი, ცრუპატრიოტიზმი, ეროვნული ერთიანობის ორგულობა, უსაქმურობა, უნიათო შრომა და სწავლა, უდისციპლინობა, უცოდინარობა და უზრდელობა — ყველაფერი ეს საჭიროებს საზოგადოებისა და ხელისუფლების მხრივ უფრო მკაცრ, გადამწყვეტ შებრძოლებას მათ აღმოსაფხვრელად; ამიტომ აუცილებელია კარგად ვარჩევდეთ: ვინ რა არის! ხალხი მართლაც დაღალა საზოგადოებრივი ცხოვრების დეფორმაციამ და მოწყურებულია მშვიდობასა და საყოველთაო წესრიგს, რისთვისაც იბრძვის არსებული ხელისუფლება და ყველას, ვინც პატრიოტებად ვიწოდებით, გვმართებს მასთან ერთგული თანადგომა სიტყვით და საქმით.

ევგენი ხარაძე,
აკადემიკოსი.

ედუარდ შევარდნაძე შეხვდა ინდოეთის ელჩს

12 მაისს ინდოეთის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა უკრაინაში სუდჰირ ტუკარამ დევარემ რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარეს სახელმწიფოს მეთაურს ედუარდ შევარდნაძეს გადასცა რწმუნების სიგელები, რომლებითაც დადასტურდა, რომ იგი შეთავსებით დაინიშნა ინდოეთის ელჩად საქართველოში.

გამოთქვა რა კმაყოფილება საქართველოში ინდოეთის ელჩის დანიშვნის გამო, ედუარდ შევარდნაძემ აღნიშნა, რომ ეს ხელს შეუწყობს ორი ქვეყნის ტრადიციული მეგობრული და საქმიანი ურთიერთობის შემდგომ განვითარებას.

სახელმწიფოს მეთაურმა სთხოვა ელჩს ყოველივე საუკეთესო უსურვოს მისი სახელით ინდოეთის პრეზიდენტსა და პრემიერ-მინისტრს და მოიწვია ისინი საქართველოში მათთვის მოსახერხებელ ნებისმიერ დროს.

ბატონმა დევარემ აღნიშნა, რომ მისმა ქვეყანამ ერთ-ერთმა პირველმა ცნო საქართველოს დამოუკიდებლობა და დაამყარა მასთან დიპლომატიური ურთიერთობა. როგორც მან თქვა, ინდოეთის ხალხი, მისი მთავრობა დიდად აფასებენ ედუარდ შევარდნაძის წვლილს მსოფლიო პოლიტიკაში, მის როლს საერთაშორისო დაძაბულობის შენელებაში და მის ძალისხმევას დემოკრატიულ, სუვერენულ სახელმწიფოდ საქართველოს ჩამოყალიბებაში.

• • •

იმავე დღეს ინდოეთის ელჩი მიიღო საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა თენგიზ სიგუამ და 11 მაისს საგარეო საქმეთა მინისტრმა ალექსანდრე ჩიქვაიძემ.

სურათზე: შეხვედრა ინდოეთის ელჩთან.

ზივი კიკვაძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

დიდი ნდობა, თანადგომა

საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტში ყოველდღიურად დიდძალი წერილები მოდის, რომლებშიც მშრომელები, მშრომელი კოლექტივები თანადგომას, თანაგრძნობას, სრულ ნდობას უცხადებენ ჩვენი რესპუბლიკის პარლამენტს, მის ხელმძღვანელობას. ამის საილუსტრაციოდ ამჯერად ვაქვეყნებთ ორ წერილს.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოს მეთაურს ბ-ნ ედუარდ შევარდნაძეს

ძვირფასო ბატონო ედუარდ!

ამ წერილს გწერთ არაეგზალტირებულ ექიმთა ჯგუფი, რომელსაც არც ის უნდოდა რომ ეს წერილი ფორმალური და მშრალი ყოფილიყო. ამ წერილის მიზანია თქვენდამი თანადგომის გამოხატვა — თანადგომა ხომ ყოველივე ჩვენგანს სჭირდება, განსაკუთრებით კი მაშინ, როდესაც რთულ, დაძაბულ და პასუხსაგებ საქმეს ეჭიდება. ეს წერილი არც მხოლოდ თანადგომის წერილია — იგი ნდობის ერთგვარი თამასუქიც არის.

უღმერთობის, გაუტანლობის, ტოტალიტარიზმის და სხვა „იზმების“ გავლენით ქურდობის, უზრდელობის, ნგრევის, გაპარტახების და უიმედობის გზაზე დამდგარ საქართველოს დღეს არა მარტო ეროვნული იდეით ან სხვა რამე გამაერთიანებელი იდეოლოგიით გამაგრებული მმართველი გუნდი სჭირდება, არამედ მაღალზნეობრივი და მაღალპროფესიული პოლიტიკური და ეკონომიკური მართვა.

საქართველოს, რომელმაც მსოფლიო ჰუმანიტარული განვითარების ბოლო საუკუნე გამოტოვა იზოლაციაში მყოფმა, სჭირდება ამ ახალ საერთო —საკაცობრიო ჰუმანურ იდეებთან ზიარება, რომლის გარეშეც მსოფლიო საქართველოს თავის ოჯახში არ მიიღებს.

დღეს ვინც ამ პრობლემას აცნობიერებს ბედნიერია იმით, რომ თქვენი სახით არსებობს ის ძალა, რომელიც შეძლებს ამ გზით წაიყვანოს საქართველო და თქვენ კი, ბატონო ედუარდ, უბედნიერესი წილი გხვდათ ბედად — თქვენ ძალუძთ განკურნოთ და გააბედნიეროთ მთელი ერი.

ღმერთმა მოგცეთ დიდი სიმტკიცე, ჯანმრთელობა და უზნეოთა მიმართ მიმტევებლობა.

ჩვენ გვჯერა თქვენი, თქვენთან ვართ სულით, გულით და საქმით.

ხელს აწერს რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფოს 233 თანამშრომელი.

საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის სპიკერს ბატონ ვ. გოგუაძეს

გაზეთ „იბერია-სპექტრში“ გამოქვეყნებული თსუ-ს 103 თანამშრომლის მიმართვა სახელმწიფოს მეთაურისადმი კიდევ ერთი დასტურია რედაქციის მიერ არჩეული მრუდი გზისა. მის ფურცლებზე დანთხეული ჭასლი იოტისოდენა ჩრდილსაც ვერ აყენებს ბატონ ე. შევარდნაძის აღიარებულ ავტორიტეტს და პოლიტიკურ სიბრძნეს.

ვუცხადებთ სრულ ნდობას სახელმწიფოს მეთაურს და მოვითხოვთ შეწყდეს მის მიმართ უზნეო, ცილისმწამებლური თავდასხმები, რაც საქართველოს ღალატის ტოლფასია.

ხელს აწერს საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ა. ერისთავის სახელობის ქირურგიის 140 თანამშრომელი.

ედუარდ შევარდნაძემ მიიღო წითელი ჯვრის წარმომადგენელი

10 მაისს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ, სახელმწიფოს მეთაურმა ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ მიიღო წითელი ჯვრის აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის ბიუროს გენერალური დირექტორი ბატონი ჯონ მარკ ბონი და ამავე ორგანიზაციის წარმომადგენელი ამიერკავკასიაში მიშელ მლიერი.

ბატონმა ჯონ მარკ ბონიმ სახელმწიფოს მეთაურს მოახსენა მისი ორგანიზაციის მიერ გაწეული მუშაობის შედეგები. აღნიშნა რომ რთულ პირობებში მოსახლეობის დახმარება მათი ორგანიზაციის ძირითადი დანიშნულება და წმიდათა წმიდა ვალია.

ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ მადლობა გადაუხადა სტუმარს, ესაუბრა აფხაზეთში შექმნილ სიტუაციაზე, პრობლემის გაჩენის მიზეზებზე, აუხსნა, რომ ადგილი აქვს პოლიტიკურ და არა ეროვნებათაშორის კონფლიქტს, რომ იგი მალე უნდა დამთავრდეს და ამაში უმნიშვნელოვანეს როლს შეასრულებს რუსეთ-საქართველოს მოლაპარაკება, რომელიც 14 მაისს გაიმართება მოსკოვში.

ნომერში

- ⊙ საზღვარს სასაზღვრო ჯარი უნდა იცავდეს. 3
- ⊙ ნიღბიანი „რაინდები“ და „უიღბლო“ ჯენტლმენი“. 4

რა მოხდა ქუთაისში?

10 მაისს, „მხედრიონის“ ერთ-ერთი სამხედრო შენაერთი შეიჭრა ქ. ქუთაისში განლაგებულ რუსეთის შეიარაღებული ძალების 754-ე საინჟინრო ბატალიონის ტერიტორიაზე სამხედრო ქონების ხელში ჩაგდების მიზნით. ეს სამხედრო ნაწილი შედგენილი გრაფიკის მიხედვით უახლოეს ხანში უნდა გადმოსცემოდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს. აქცია არ ყოფილა სანქციონირებული საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ. საქმე მივიდა სამხედრო შეტაკებამდე, რის შედეგადაც დაიღუპა რამდენიმე კაცი, არიან დაჭრილები.

მომხდარი ინციდენტის შესწავლისა და გამოძიების მიზნით შეიქმნა სამთავრობო კომისია საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილის ზურაბ კერვალიშვილის თავმჯდომარეობით. კომისიის წევრები არიან: ნოდარ ნათაძე — საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომისიის თავმჯდომარე, თედო ნინიძე — საქართველოს რესპუბლიკის გენერალური პროკურორი, თემურ შაშიაშვილი — ქალაქ ქუთაისის მერი, გია მაშაკიძე — საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრის მოადგილე, ნოდარ ძნელაძე — სამტრედიის რაიონის გამგეობის თავმჯდომარე.

ინციდენტის სარჩული

11 მაისს ქუთაისიდან გვიან საღამოს თბილისში დაბრუნდა საქართველოს სახელმწიფოს მეთაური ედუარდ შევარდნაძე. იგი ქუთაისში გაემგზავრა აქ მომხდარ ინციდენტთან — რუსეთის 754-ე საინჟინრო ბატალიონის ქვეგანაყოფებთან ერთ-ერთი უკანონო ფორმირების შეიარაღებულ შეტაკებასთან დაკავშირებით. შეტაკების შედეგად დაიღუპა 6 კაცი, მათ შორის შემთხვევით გამვლელიც. დაჭრილია 10 კაცი. ინციდენტს იძიებს საქართველოს რესპუბლიკაში დისლოცირებული რუსეთის ჯარების სამხედრო პროკურატურა.

გაფრენის წინ თბილისში ედუარდ შევარდნაძემ საქინფორმის კორესპონდენტს უთხრა: — მხარეებს ურთიერთგამომრიცხავი ვერსიები აქვთ. მაგრამ უკვე დღეს ცხადია — მოხდა უკანონო შეიარაღებული ფორმირების მიერ იარაღის გატანის არასანქციონირებული ცდა. ჩვენ შეიძლება საქმე გვქონდეს ზოგიერთი სამხედროს, და უმთავრესად — რუსეთის სამხედროთა დაინტერესებასთან, რათა პროვოკაციულად გამოეწვიათ სისხლისმღვრელი ინციდენტი, ჩაეშალათ მოლაპარაკების პროცესი რუსეთის პრეზიდენტთან ჩემი შეხვედრის წინ. რუსეთის სამხედროებს სავსებით შეეძლოთ თავიდან აეცილებინათ სისხლისღვრა, დროზე რომ მიემართათ ქალაქის მერიისათვის. ეს ინციდენტი ძალიან ჰგავს გორში მომხდარ ამბავს. გამოძიებამ უნდა დაადგინოს, წინასწარ ხომ არ იყო შედგენილი იარაღის ხელში ჩაგდების სცენარი და კონკრეტულად ვინ აწარმოებდა გარიგებას. ვიმედოვნებ, რომ ქალაქის ხელმძღვანელობა არ დაუშვებს სიტუაციის შემდგომ გართულებას, მის კიდევ უფრო გამწვავებას.

უკანასკნელი მონაცემების თანახმად, გარდაიცვალა კიდევ ერთი დაჭრილი.

ქალაქის მერის აზრი

ქუთაისში მომხდარი ტრაგედიის შემდეგ 12 მაისს კიდევ უფრო დაიძაბა ვითარება ქალაქში. მას შემდეგ, რაც გავრცელდა ცნობა, რომ ქუთაისის ცენტრალურ მაგისტრალებზე გამოჩნდა რუსეთის ფედერაციის სამხედრო ნაწილის ტანკები, დაძაბულობამ პიკს მიაღწია. შეტაკება მოხდა ნინოშვილის ქუჩაზე ეგრეთ წოდებულ „მთვრალ ბაზართან“ რუსეთის ფედერაციის სამხედრო მოსამსახურეებსა და გამოძიებისათვის ჯერ კიდევ უცნობ შეიარაღებულ პირებს შორის. საუბედუროდ, ორივე მხრიდან არიან დაჭრილები და დაზარალებულები. დაწვრილებით ცნობებს მოგვიანებით მოგაწვდით.

ჩვენ დავუკავშირდით ქუთაისში დისლოცირებული რუსეთის ჯარების კორპუსის უფროსს გენერალ-მაიორ ალექსანდრე ნაუმოვს, რომელმაც განაცხადა, რომ ტანკების თაობაზე არაფერი იცის, ყოველ შემთხვევაში, განაცხადა მან ტანკები არ ეკუთვნის ქუთაისში დისლოცირებულ რუსეთის საჯარისო ნაწილებს.

ამ ფაქტის გამო კომენტარი ვთხოვეთ ქალაქის მერს თემურ შაშიაშვილს, რომელმაც თქვა, რომ ეს იმ პროვოკაციული ჯაჭვის ერთ-ერთი რგოლია, რომლითაც ცდილობენ ჩაშალონ უმაღლესი დონის მოლაპარაკება. ქალაქში გამოჩნდნენ უცნობი პირები, სავარაუდოა, რომ მათი ხელიც ურევია ამ აქციაში. დარწმუნებული ვარ, ქუთაისელები და ქალაქის სამსახურები ყველაფერს იღონებენ, რათა არ დაუშვან არეულობა, არ აჰყვნენ ამ პროვოკაციასა და ჭორებს, დასძინა ბატონმა თ. შაშიაშვილმა.

მერს მიაჩნია, რომ რუსეთის ჯარებმა უნდა დატოვონ ქალაქი

12 მაისს საქართველოს რადიოთი გამოსვლისას, ქუთაისის მერმა თეიმურაზ შაშიაშვილმა განაცხადა, რომ ამ ქალაქში დისლოცირებული რუსეთის ჯარების კორპუსის სარდალს გენერალ ნაუმოვს შეეძლო აღეკვეთა 11 მაისს მომხდარი 754-ე საინჟინრო ბატალიონის ქონების ხელში ჩაგდების ცდა. იმავე საღამოს ქუთაისში სახელმწიფოს მეთაურთან ედუარდ შევარდნაძესთან შეხვედრის დროს გენერალმა თქვა, რომ ჰქონდა ინფორმაცია თავდასხმის შესახებ, რომელიც მზადდებოდა. მაგრამ, როგორც მერმა აღნიშნა, არათუ არაფერი არ გააკეთა ინციდენტის თავიდან ასაცილებლად, არამედ ქალაქიდან გაემგზავრა კიდეც.

თეიმურაზ შაშიაშვილმა განაცხადა, რომ ახლახან ქალაქის ხელისუფლებმა აღკვეთეს საინჟინრო ბატალიონის განლაგებიდან სამხედრო ტექნიკის გატანის ცდა, რომელიც, მორიგების თანახმად, უახლოეს მომავალში საქართველოს შეიარაღებულ ძალებს უნდა გადაეცეს.

მერის ღრმა რწმენით, ამ ინციდენტის შემდეგ რუსეთის ჯარების კორპუსმა ქუთაისი უნდა დატოვოს.

ამიერკავკასიაში განლაგებული რუსეთის ჯარების ჯგუფის პრესცენტრის განცხადება

12 მაისს ამიერკავკასიაში განლაგებული რუსეთის ჯარების პრესცენტრმა გააკეთა განცხადება ქუთაისში შეიარაღებულ შეტაკებასთან დაკავშირებით ედუარდ შევარდნაძის გამონათქვამების გამო.

განცხადებაში, კერძოდ, ნათქვამია: გაკვირვებას იწვევს საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის სიტყვები იმის შესახებ, რომ ჩანს რუსეთის სამხედროთა ქცევის ხაზი, რომლის მიზანია ჩაშალოს მოლაპარაკება შევარდნაძესა და ბორის ელცინს შორის 14 მაისს მოსკოვში.

ამიერკავკასიაში განლაგებული რუსეთის ჯარების ჯგუფის სარდლობას, აღნიშნულია დოკუმენტში, არაერთგზის მიუმართავს პირადად ედუარდ შევარდნაძის, საქართველოს პარლამენტისათვის თხოვნით მიეღოთ ზომები რუსეთის ჯარების სამხედრო ქალაქებსა და ქვეგანაყოფებზე თავდასხმების აღსაკვეთად, რომლებიც რესპუბლიკაში გახშირდა განსაკუთრებით მიმდინარე წლის მარტიდან.

ამასთან დაკავშირებით ამიერკავკასიაში განლაგებული რუსეთის ჯარების სარდლობას მიაჩნია, რომ ამ განცხადებას არავითარი საფუძველი არა აქვს და ეს არის საქართველოს მხარის მორიგი ცდა, თავიდან აიცილოს პასუხისმგებლობა მომხდარის გამო.

საქართველოს მინისტრთა კაბინეტი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ 50 წლის ასაკში მოულოდნელად გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი მეცნიერი, არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ბესარიონ არკადის ძე ჯორბენაძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

განათლების საკითხებზე — პრინციპულად!

რა გზით ვიაროთ?

განათლების სისტემა სისხლხორცეულად არის დაკავშირებული ქვეყნის ეკონომიკურ და პოლიტიკურ მდგომარეობასთან და მისი კრიზისი დიდ გავლენას ახდენს როგორც ეკონომიკურ, ისე პოლიტიკურ ვითარებაზე. უკანასკნელი ათეული წლების მანძილზე ეს კრიზისი სულ უფრო ღრმავდებოდა. ლოზუნგმა — „ეკონომიკა ეკონომიური უნდა იყოს", დაუოკებელმა სურვილმა, შემცირებულიყო ერთი სპეციალისტის მომზადებაზე დახარჯული სახსრები, დამღუპველი ზეგავლენა მოახდინა განათლების მთელს სისტემაზე. დაბლა დასწია ახალგაზრდა სპეციალისტის მომზადების საშუალო დონე და, საბოლოოდ, დიდად დააზარალა ქვეყნის ეკონომიკა.

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში იმდენად მრავალფეროვანი განათლების სისტემებია, რომ რაიმე ახლის თქმა შეუძლებელია. ახალი გზების ძიებაში აუცილებელია ღრმად გავაანალიზოთ მოწინავე ქვეყნების გამოცდილება და ავირჩიოთ ის გზა, რომელიც უკეთ შეესაბამება ჩვენი ცხოვრების დონეს და წესს.

უმაღლესში სასწავლო პროცესი მისაღები გამოცდებით იწყება და გამოსაშვები სახელმწიფო გამოცდებით მთავრდება. თვით ამ გამოცდების ჩატარების წესი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მთელს სასწავლო პროცესზე. სასესიო და სახელმწიფო გამოცდების გაადვილება იწვევს უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდების გართულებას. გამოიკვეთა საზოგადოებრივი აზრი: მთავარია უმაღლესში „მოიწყო", მისი დამთავრება კი პრობლემას არ წარმოადგენს! ადვილი წარმოსადგენია, თუ რაოდენ მაღალ შედეგებს მივაღწევდით სპეციალისტების მომზადების საქმეში, სტუდენტები ისეთივე გულმოდგინებით რომ სწავლობდნენ, როგორც აბიტურიენტობის პერიოდში...

იქნებ საჭიროა მისაღები გამოცდების წესების გარკვეული შეცვლა? გასულ წელს შემოვიღეთ 10-ბალიანი ქულათა სისტემა და დადგინდა, რომ 6 ქულაზე ნაკლები არადამაკმაყოფილებელი ნიშანია. [illegible] ქულათა რაოდენობა, რომელიც არადამაკმაყოფილებელს შეესაბამება, შესაძლოა ნაკლები ან მეტიც იყოს და ეს გამოცდის საგნისა და სპეციალობის სპეციფიკიდან უნდა გამომდინარეობდეს. ცხადია, ეს ზღურბლი უმაღლესი სასწავლებლის მიღების კომისიამ უნდა დაადგინოს კონკურსის გათვალისწინებით. წლის სპეციალურ საგანში გამოცდა შეიძლება 20-ქულიანი სისტემითაც კი შეფასდეს, რაც უთუოდ გაზრდის სპეციალობაში ცოდნის დონის წონას სხვა გამოცდებთან შედარებით.

ცხადია, გასათვალისწინებელია საქართველოში უმაღლესი განათლებისადმი დაუოკებელი სწრაფვა, მაგრამ ეს სწრაფვა ხომ ყოველთვის იყო? ალბათ, უმაღლესი განათლების მიღების მსურველთა მკვეთრი ზრდის ძირითადი მიზეზი სასწავლო პროცესის ლიბერალიზაციაა. ამასთანავე, სამწუხაროდ, ძალიან ცოტას თუ აინტერესებს სასწავლო პროცესის გაუმჯობესების პრობლემა და მთელი ყურადღება უმაღლეს სასწავლებელში მისაღები გამოცდებისაკენ არის გადატანილი. მართლაც, უმაღლეს სასწავლებელში აბიტურიენტთა კონკურსის მკვეთრმა გაზრდამ მისაღები გამოცდების გამკაცრება, გამოცდებზე მომთხოვნელობის გაზრდა გამოიწვია. საშუალო სკოლის დონემ ველარ დააკმაყოფილა უმაღლესში მისაღები გამოცდების მოთხოვნები და მოსწავლე იძულებული გახდა, „რეპეტიტორებისათვის" მიემართა. ამან მოსწავლე სკოლას ჩამოაცილა (განსაკუთრებით დამამთავრებელ კლასებში). სკოლაშიც დაიწყო სასწავლო პროცესის ლიბერალიზაცია და ცოდნის მიღების თითქმის ერთადერთი წყარო „რეპეტიტორებთან" მომზადება გახდა. ამრიგად, უკვე საშუალო სკოლაში გახდა სწავლა ფასიანი და არც თუ იაფი!

თუმცა, რას ნიშნავს არსებული უფასო განათლება? განა ის თანხა, რომელსაც სახელმწიფო საბიუჯეტო ორგანო განათლებისათვის გამოყოფს, ჩვენს მიერ გამომუშავებული ხელფასის ნაწილით არ იქმნება? ცხადია, რომ სრულფასოვანი განათლებისათვის ეს თანხა არ არის საკმარისი, მაგრამ ეს არის ის, რაც ჩვენ დღეს შეგვიძლია. ალბათ, საზოგადოებამ, თუ სურს მაღალგანათლებული ერი ჰყავდეს, უნდა იზრუნოს განათლების დაფინანსების ახალი გზების გამოძებნაზე.

თითქოს ახალი გზა გამოჩნდა ფასიანი სასწავლებლების შექმნით, მაგრამ ვერც ეს გზა ამართლებს იმედებს. ამ გზას მხოლოდ სტუდენტთა რაოდენობის გაზრდისაკენ მივყავართ, მაშინ, როდესაც განათლების დონის ასამაღლებლად აუცილებელია ერთი სტუდენტის განათლებაზე დახარჯული თანხის მნიშვნელოვანი გაზრდა, თუნდაც სტუდენტთა რაოდენობის შემცირების გზით.

ჩვენთან ფასიანი სასწავლებლების მასობრივი გახსნა კიდევ უფრო ამძაფრებს ამ პრობლემას. ფასიანი უმაღლესი სკოლები ფაქტიურად ნულოვან სასწავლო ბაზაზე აღმოცენდნენ (იმ [illegible] გამონაკლისის გარდა, როდესაც ეს სასწავლებლები სამეცნიერო დაწესებულებებთან არიან დაფუძნებულნი). რაც შეეხება ფასიანი სასწავლებლების შექმნას არსებულ უმაღლეს სასწავლებლებთან, ეს ყოფილმა უზენაესმა საბჭომ აკრძალა. ეს აკრძალვა მხოლოდ ფასიან სასწავლებლებს „აწყობდათ", რომ არსებული უმაღლესი სასწავლებლების კონკურენციისაგან თავი დაეღწიათ.

სამწუხაროდ, ფასიანი სასწავლებლების მასიურად გახსნამ დიდი ზიანი მიაყენა სახელმწიფო სასწავლებლების ბაზას. პროფესორ-მასწავლებელთა საქმიანობის შეთავსება სახელმწიფო და კერძო სასწავლებლებში, მართალია, მნიშვნელოვნად ზრდის ლექტორთა ღარიბ ბიუჯეტს, მაგრამ დაბლა წევს უმაღლეს სასწავლებლებში სწავლების ხარისხს, რადგან სრულიად წარმოუდგენელია, რომ პროფესორ-მასწავლებელთა დატვირთვის ასეთი გაზრდა უარყოფითად არ მოქმედებდეს ლექციის დონეზე: მაღალი ხარისხის ლექციას ხომ საფუძვლიანი მომზადება სჭირდება!

ალბათ, მიზანშეწონილი იქნება, სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლებში ფასიანი სექტორის დაარსება. ეს სექტორი ხელს შეუწყობს არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებას და თანდათან აამაღლებს გამოშვებული სპეციალისტების განათლების დონეს. მაგრამ, ამისათვის სტუდენტთა საერთო კონტინგენტი კი არ უნდა გავზარდოთ, არამედ პირიქით, მნიშვნელოვნად შევამციროთ, რათა გაიზარდოს ერთ სტუდენტზე გაწეული დანახარჯი, თუნდაც, აკადემიურად ჩამორჩენილი სტუდენტების მშობლების ხარჯზე. თუ ჩვენს სასწავლებლებში ნაწილობრივ მაინც დაიმკვიდრებს ადგილს ფასიანი სექტორი, სახელმწიფო დაფინანსება არავითარ შემთხვევაში არ უნდა შემცირდეს და დამატებით შემოსული თანხა პროფესორ-მასწავლებლების ხელფასს და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებას უნდა მოხმარდეს.

დაუშვებლად მიმაჩნია უმაღლესი სასწავლებლის დღის განყოფილების სტუდენტის გაწვევა სამხედრო სამსახურში იმ უმაღლესი სასწავლებლებიდან, რომლებსაც კარგად აღჭურვილი სამხედრო კათედრები აქვთ (თუ ამას საგანგებო მდგომარეობა არ მოითხოვს), მაგრამ კურსზე დარჩენილი სტუდენტი შეიძლება გაწვეულ იქნეს სამხედრო სამსახურში. სამხედრო საქმესაც სწორედ მაღალი დონის სპეციალისტი სჭირდება და ახალგაზრდის სასწავლო პროცესიდან 2 წლით მოწყვეტა გამოუსწორებელ ზიანს მიაყენებს უმაღლესი დონის სპეციალისტების მომზადების საქმეს.

აღსანიშნავია, რომ უმაღლეს სასწავლებლებში ფასიანი სექტორის დაარსებას რუსეთსა და ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებშიც ფიქრობენ. ამასთანავე, საყურადღებოა, რომ თუ ჩვენი რესპუბლიკის ახალგაზრდები მოისურვებენ რუსეთის უმაღლეს სასწავლებელში შესვლას, არსებობს რუსეთის ფედერაციის უმაღლესი სკოლის კომიტეტის 26 მარტის დადგენილება, რომლის თანახმადაც, „უცხო ქვეყნების მოქალაქეთა მიღების წესი განისაზღვრება უმაღლესი სასწავლებლის სამეცნიერო საბჭოს მიერ, თუ სახელმწიფოებს შორის დადებული ხელშეკრულებით მიღების სხვა წესი არ არის გათვალისწინებული".

მისასალმებელია ახალი ტიპის საშუალო და უმაღლესი სასწავლებლების შექმნა, მაგრამ აქ დიდი სიფრთხილეა საჭირო. ალბათ, ამჟამად მისაღებია დასავლეთში არსებული აპრობირებული სასწავლებლების (ფილიალების) შექმნა იქ არსებული სასწავლო პროგრამებით და, რაც მთავარია, იქაური სწავლების წესით, სახელმძღვანელოებით და შესაბამისი სასწავლო-ტექნიკური ბაზით. ამავე დროს, სულაც არ არის აუცილებელი, რომ სწავლება მთლიანად უცხო ენაზე მიმდინარეობდეს, მაგრამ უცხო ენაზე გამოცემული სახელმძღვანელოების გამოყენება აუცილებელი იქნება (ჩვენ ვერ შევძლებთ ყველა სახელმძღვანელოს გადმოქართულებას — ეს მსოფლიოს ყველა პატარა ქვეყნისათვის გადაუჭრელი პრობლემაა). მთავარია, რომ სწავლების წესი იყოს დაცული, რათა ასეთი სასწავლებლების დამთავრების შემდეგ მოსწავლემ შესაბამისი ატესტატი ან დიპლომი მიიღოს, რომელთა ნოსტრიფიცირება ჩვენს ქვეყანაშიც მოხდება. შეძლებისდაგვარად ხელი უნდა შეეწყოს დასავლეთის წამყვან უმაღლეს სასწავლებლებში სტუდენტთა და ასპირანტთა გაგზავნას, განსაკუთრებით ტექნიკური დარგის სპეციალისტების მოსამზადებლად.

ალბათ, სასარგებლო იქნება, თუ უმაღლესი სასწავლებლების დაუსწრებელ განყოფილებებს მთლიანად გადავიტანთ საქართველოს მაღალმთიან და მოშორებულ რეგიონებში. განა რამდენიმე ლექტორის მივლინება შუახევში ან ცაგერში ეკონომიკურად უფრო გამართლებული არ არის, ვიდრე ასობით სტუდენტის ჩამოყვანა თბილისში, ქუთაისში ან ბათუმში? ცხადია, ეს დაუსწრებელი განყოფილებები მხოლოდ ადგილობრივი პედაგოგიური კადრების და აგრარული განხრის სპეციალისტების მომზადებას უნდა ემსახურებოდნენ.

ჩვენმა ეკონომიკამ ერთი უკუღმართი წესი მოგვახვია თავს: უმაღლესი სასწავლებლების მასწავლებელთა კონტინგენტი სტუდენტთა რაოდენობით განისაზღვრება. ამან ის გამოიწვია, რომ უმაღლესი სასწავლებლები იბრძვიან მისაღები კონტინგენტის გაზრდისათვის და, ცხადია, სტუდენტთა გარიცხვასაც ერიდებიან. მეორეს მხრივ, სასწავლებლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა ვერ აკმაყოფილებს დღევანდელი მოთხოვნილებების დონეს, მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, სტუდენტთა არსებულ რაოდენობას (რესპუბლიკის გარეთ არსებული უმაღლესი სასწავლებლებიდან გადმოყვანილი სტუდენტების დამატებით). დღეს, როდესაც დგება ჩვენი უმაღლესი სასწავლებლების მიერ გაცემული დიპლომების მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში ნოსტრიფიკაციის საკითხი, აუცილებელია მხედველობაში მივიღოთ ევროპის რიგი სახელმწიფოების სამართლიანი მოთხოვნა: იმისათვის, რომ ჩვენი დიპლომები ევროპის ქვეყნებმა სცნონ, აუცილებელია, რომ უმაღლესი სასწავლებლების კურსდამთავრებულთა რიცხვმა შესულთა რაოდენობის 20%-ს არ გადააჭარბოს. ეს მართლაც მნიშვნელოვანი მოთხოვნაა, მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ ჩვენთან უმაღლეს სასწავლებელს საშუალოდ 90%-ზე მეტი ამთავრებს. ეს ჩვენში არსებული სასწავლო პროცესის ლიბერალიზმის მშვენიერი მაგალითია.

ჩვენმა გულმოწყალებამ კიდევ ერთი უკუღმართი წესი დააკანონა: სტუდენტთა მისაღები კონტინგენტი განისაზღვრება არა ცოდნის დონით, არამედ მისაღებ სტუდენტთა რაოდენობის მიხედვით. სწორედ მისაღებმა გამოცდებმა უნდა განსაზღვროს იმ სტუდენტთა კონტინგენტი, რომელიც სასწავლებელში წარმატებით სწავლას შეძლებს. ამიტომ, მიღების ზღურბლი აბიტურიენტის ცოდნის დონეზე უნდა გადიოდეს და არა რაოდენობაზე. სტუდენტთა რაოდენობა შეიძლება წლიდან წლამდე იცვლებოდეს კიდეც და მას აბიტურიენტების მომზადების დონე უნდა განსაზღვრავდეს. ალბათ, შესაძლებელია, რომ წინასწარ დადგინდეს გამსვლელი ქულა უფასოდ სწავლებისათვის, ხოლო ფასიან სექტორზე სტუდენტთა რიცხვი არსებულმა სასწავლო ბაზამ უნდა განსაზღვროს. თუმცა, თუ გავითვალისწინებთ, რომ სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლებში ამჟამად დაახლოებით ხუთჯერ მეტი სტუდენტი სწავლობს, ვიდრე ეს დასაშვებია არსებული ბაზების მიხედვით, ჩვენ მოგვიწევს მეტად არაპოპულარული ზომების მიღება სტუდენტთა საერთო კონტინგენტის თანდათან შესამცირებლად.

ჩვენი განათლების სისტემის დიდი ხარვეზია მასწავლებელთა და სახელმძღვანელოთა დაბალი დონე. თუ მოსწავლეს ვერ მივცით კარგი მასწავლებელი და მაღალი კლასის სახელმძღვანელო, განათლების კრიზისიდან ვერ ამოვალთ. თუმცა, მაღალი დონის მასწავლებელთა ნაკლებობას ევროპისა და ამერიკის მრავალი ქვეყანაც განიცდის, მაგრამ ისინი ამ დიდ ნაკლს მაღალი დონის სახელმძღვანელოებით ავსებენ.

მასწავლებელთა დაბალი დონის პრობლემას ვერ მოაგვარებს ვერც კვალიფიკაციის ასამაღლებელი ფაკულტეტები და ვერც დახელოვნების ინსტიტუტი. ამისათვის აუცილებელია უმაღლეს სასწავლებლებში მომთხოვნელობის გამკაცრება, რათა დიპლომი მხოლოდ ღირსეულს მიეცეს. ამან შეიძლება მასწავლებელთა რაოდენობის მკვეთრი შემცირება გამოიწვიოს. მაგრამ, ამავე დროს, სკოლებში უნდა მივიზიდოთ ჩვენი სამეცნიერო-კადრები.

ამერიკელებმა ერთი საინტერესო გზა გამონახეს განათლების ამ გადაუჭრელი პრობლემის დასაძლევად: 1972 წელს მათ შექმნეს „ინტერნაციონალური მომავლის სკოლა", რომლის სწავლების პრინციპი ძირეულად განსხვავდება ჩვეულებრივ სკოლებში სწავლების პრინციპისაგან. მათ სწავლების მთელი სიმძიმე გადაიტანეს მაღალი კლასის სახელმძღვანელოებზე და კომპიუტერულ ტექნიკაზე, ხოლო მასწავლებელს მოსწავლის დამხმარისა და აღმზრდელის ფუნქცია დააკისრეს. ამ სკოლაში წიგნი „უხსნის" გაკვეთილს და წიგნში მოცემული ტესტები აფასებენ მოსწავლის ცოდნას. მასწავლებელი კი არ წერს ნიშანს და არ უხსნის გაკვეთილს, არამედ ის მხოლოდ ეხმარება ბავშვს წიგნის დამუშავებაში და კონსულტაციას უწევს მას. ამან ძირეულად შეცვალა დამოკიდებულება მოსწავლისა და მასწავლებელს შორის. მოსწავლე მასში დამხმარეს ხედავს და ასეთი მასწავლებელი მართლაც დიდი სიყვარულით სარგებლობს. ამასთანავე, სწავლების ასეთი პრინციპი მოსწავლეს საშუალებას აძლევს, სრულად გამოავლინოს თავისი შესაძლებლობანი და აირჩიოს მისთვის საინტერესო და მისაღები სწავლების გზა. ამ სკოლაში მოსწავლე თვითონ ირჩევს, თუ რა საგანი ისწავლოს იმ დღეს და ადგენს საკუთარ სამუშაო გეგმას. აქ ძლიერი მოსწავლე არ ელოდება სუსტს და იმდენ ცოდნას იღებს, რამდენიც მას შეუძლია მიიღოს.

შარშან მარტში თბილისშიც გაიხსნა ასეთი სკოლა, სადაც ორასამდე (მათ შორის სამი ამერიკელი) ბავშვი სწავლობს. ამჟამად, მსოფლიოს 110 ქვეყანაში ფუნქციონირებს 7000-მდე ასეთი სკოლა, და, როგორც პრაქტიკამ გვიჩვენა, სწავლების ეს ფორმა სავსებით ამართლებს. იმედია, თანდათანობით იგი ქართულ სკოლებშიც მოიკიდებს ფეხს.

მერაბ ჯიბლაძე,
პროფესორი.

• • •

კუთვნილი ჰონორარი გთხოვთ გადარიცხოთ განათლების ფონდში.

აქტუალური თემა

როგორ გავამაგროთ კუპონი?

ამ საკითხზე ჩვენს კორესპონდენტს ესაუბრება საქბინსოცბანკის გამგეობის თავმჯდომარე ჯუმბერ გონაშვილი:

კუპონს ფრთხილად უნდა მოვეპყროთ, უნდა მოვეფეროთ — განაცხადა ამას წინათ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა დემურ დვალიშვილმა. უკეთესად ვერ იტყვი. კუპონი ჩვენგან მართლაც მხარდაჭერას და თანადგომას მოითხოვს და არა ბარიერებს, რომელთაც მავანნი და მავანნი ხელოვნურად უქმნიან...

ამ დღეებში ასეთ სურათს შევესწარი... დეზერტირის ბაზრის მისადგომთან, პირდაპირ ქუჩაში, ვიღაც „ბიზნესმენი" დაკლულ ქათამს კილოგრამს 1300 მანეთად ასაღებდა.

კუპონი რომ შევაძლიე, ჯერ იუარა, მერე დამთანხმდა — 2000 მომეცი და წაიღეო.

— რატომ ორი ათასი? — შევეკითხე, — რუსული მანეთი ვითომ რითი ჯობია ქართულ კუპონს?

— იმით, რომ კუპონით რუსეთში ვერაფერს იყიდი, მე კი ეს ქათამი სწორედ იქიდან შემომაქვს.

— თქვენც აიღეთ და ნავაჭრი კუპონები მანეთზე გადაახურდავეთ.

— ისე ლაპარაკობთ, თითქოს სხვა ქვეყნიდან იყოთ მოსული. გადახურდავებისთვის ბანკში „სტავკა" რომ აქვთ დაწესებული, სწორედ იმიტომ დაგიფასეთ 2000 კუპონი, თორემ 1300-დაც მოგცემდით.

რაღა უნდა მეთქვა? „ბიზნესმენმა" ისეთი „საბუთი" წამომიყენა, რომ გაჩუმება ვამჯობინე, მით უფრო, რომ ახლა ამ საბუთით მაღაზიებიც ხშირად უმასპინძლდებიან მომხმარებლებს.

სწორედ ეს პრობლემა და კუპონთან დაკავშირებული ზოგი სხვა საკითხი დავაყენე „საქბინსოცბანკის" გამგეობის თავმჯდომარესთან **ჯუმბერ გონაშვილთან**, როცა მას სასაუბროდ შევხვდი.

— ასეთი მითქმა-მოთქმა ეგრეთ წოდებული საბანკო „სტავკის" შესახებ, მეუბნება ბატონი ჯუმბერი, ხალხში მართლაც არის, მაგრამ ის ჭორის დონეზეა და კონკრეტულად ვერაფერს გიპასუხებთ: აი, ხელოვნურად რომ აუფასურებენ კუპონს, ამის ფაქტი კი უამრავია და მას უნდა ვებრძოლოთ. ამას რომ ვამბობ, არ ვგულისხმობ ვინმეს დაჭერა-დაპატიმრებას. არა, უბრალოდ, ყველამ უნდა შეასრულოს მთავრობის დადგენილება და დარღვევებიც აღარ გვექნება.

— რა გაქვთ მხედველობაში?

— ის, რომ რესპუბლიკაში წარმოებული პროდუქცია და სახელმწიფო კრედიტებით შემოტანილი საქონელი უნდა გაიყიდოს მხოლოდ და მხოლოდ კუპონებზე. ამას ბევრი ჩვენი სახელმწიფო მაღაზია თუ აფთიაქი არ ასრულებს, რაც ყოვლად დაუშვებელია.

— როგორ ფიქრობთ, იქ მომუშავეთა სინდის-ნამუსი ამ პრობლემის გადაჭრის გარანტად გამოდგება?

— რა თქმა უნდა, სინდისი კარგი თამასუქია, მაგრამ უქონლობის შემთხვევაში, მის ფუნქციასაც კონტროლი უნდა ასრულებდეს. ასე რომ, თუ დასახელებული სტრუქტურების ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა და საკონტროლო ორგანოების მუშაობა არ გაძლიერდა, სასურველ შედეგს ვერ მივაღწევთ.

— ამ საქმეში დიდია ბანკის პასუხისმგებლობაც. ისე არ უნდა ხდებოდეს, რომ კომერციულ სტრუქტურას ბანკის კრედიტით საქონელი შემოჰქონდეს და შემდეგ მის კუპონით რეალიზაციაზე უარს ამბობდეს.

— ეს მოთხოვნა ჩვენთან დაკანონებულია, მაგრამ ზოგიერთი „კომერსანტი" ამაშიც პოულობს საკბილოს. ხდება ისე, რომ ერთი კომერციული სტრუქტურისაგან, რომელმაც კრედიტით დიდი რაოდენობით პროდუქცია შემოიტანა და რეალიზაცია ვერ მოახერხა, მეორე კომერციული პირი იძენს საქონელს და შემდეგ მას კუპონზე აღარ ყიდის.

— ამას, რა თქმა უნდა, მომხმარებელი ვერ გაარკვევს!

— ამიტომაც ვამბობ რომ კონტროლი და პასუხისმგებლობა უნდა გაძლიერდეს. თუ კონტროლი არ იქნება, მოტყუებული ყოველთვის მომხმარებელი დარჩება, დაზარალდება კუპონის პრესტიჟიც.

— და თუ მაინც ასეთი კონტროლი შეუძლებელი გახდა?

— მაშინ საბჭოთა ფული მიმოქცევიდან უნდა ამოვიღოთ. თუ კუპონს მზის მაჩრდილობელი არ ჩამოვაცილეთ, ეტყობა, ვერ გაიხარებს.

— ამბობენ, რუსეთი თვითონვე აპირებსო ყავლგასული ფულის მიმოქცევიდან ამოღებას.

— შეიძლება ასეც მოხდეს. ამის ნიშნები უკვე არის — რუსეთი 1993 წლამდე გამოშვებულ ფულს კი იბარებს, მაგრამ ბრუნვაში აღარ უშვებს. უნდა ვივარაუდოთ, რომ ახლო მომავალში ის „საბჭოთა მანეთს" საერთოდ ამოიღებს მიმოქცევიდან.

— და აღარ მიიღებს?

— არა. ვერც გაამტყუნებ. ამის უფლება მას აქვს.

— მაგრამ, რა მოგველის მაშინ ჩვენ?

— მოსახლეობის ის ნაწილი, რომელსაც საბჭოთა ფული შენახული აქვს სახელმწიფო ბანკებში, გარანტირებულია ანაზღაურებით. ის ფული კი, რომელიც ხალხშია, არ არის გამორიცხული, რომ უკვალოდ დაიკარგოს.

— როგორ, სახელმწიფო მასზე არავითარ პასუხისმგებლობას არ იკისრებს?

— სახელმწიფო პასუხისმგებელია იმაზე, რაც მას მიაბარეს. ჯიბეში ან ლეიბქვეშ ჩადებულ ფულზე პასუხისმგებლობას არავინ იკისრებს. თუმცა თუ ეს მომენტი დადგა, მთავრობა, რა თქმა უნდა, შეეცდება ყველაფერი იღონოს იმისათვის, რომ ხალხი დაზარალებული არ დარჩეს.

— ვნახოთ, ეს სამომავლო საქმეა. ხალხისთვის კი ბევრს მიაჩნია რომ კუპონი პრივატიზაციის პროცესში ერთგვარად წელს გაიმაგრებს.

— ამაში ეჭვი არ უნდა შეგვეპაროს, პრივატიზაცია, რომელიც ახლა ფართო ფრონტით იწყება, მხოლოდ კუპონებით მოხდება. ეს გადაწყვეტილი საქმეა და წარმატებასაც უნდა მოველოდეთ, მაგრამ დღეს მე სხვა საკითხი მინდა დავსვა — როგორ მოვეხმაროთ ჩვენს წაქცეულ საწარმოებს, რა უკვდავების წყალი ვასვათ, რომ სული როგორმე მოითქვან?

— თუ მათი ეკონომიკა წამოიწევს, ალბათ კუპონიც მოძლიერდება.

— მეც მანდა ვარ. მთავრობამ, როგორც არ უნდა უჭირდეს, უნდა მოახერხოს, რომ საწარმოებს ერთჯერადი კრედიტი გამოუყოს. ამით მათ შესაძლებლობა მიეცემათ, ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში შეიძინონ ნედლეული, გამოუშვან პროდუქცია, მის ერთ ნაწილს რეალიზაცია გაუკეთონ იმავე რესპუბლიკებში და თანხები შეიტანონ საკორესპონდენტო ანგარიშზე, რომლებიც იქ ჩვენს ბანკებს აქვთ გახსნილი. ვფიქრობ, ასეთი საკრედიტო რეანიმაცია გამოაცოცხლებს ჩვენს საწარმოებს, რომლებიც ახლა სულს ღაფავენ, მისცემს მათ საშუალებას საზღვარგარეთ ჰქონდეთ თავიანთი თანხები, რომლებსაც საკუთარი სურვილისამებრ, გამოიყენებენ. უნდა ვივარაუდოთ, რომ ასეთი ღონისძიების შედეგად, ბევრი საწარმო მოიკრებს ღონეს, საკუთარ ეკონომიკასაც შექმნის და ქვეყანასაც სარგებელს მისცემს.

მთავარი მაინც ის არის, რომ მოვახდინოთ კუპონის კონვერტიზაცია. იგი დღეს ჩვენი ეროვნული ვალუტაა და თუ არ ვიზრუნეთ მისი კონვერტირებისათვის, ისე საზღვარგარეთის სახელმწიფოებთან ცივილიზებულ ეკონომიკურ კავშირებს ვერ დავამყარებთ.. არ არსებობს მსოფლიოში სახელმწიფო, რომელიც სხვა ქვეყნის ფულის ნიშნებით მუშაობდეს. რაც შეიძლება, მალე უნდა განვსაზღვროთ ჩვენი კუპონის კურსი და ის კონვერტირებული გავხადოთ. მაშინ საშუალება მოგვეცემა, ვებრძოლოთ სპეკულაციას, შავ ბაზარს, ათას უბედურებას, რაც თან სდევს ჩვენთან საბაზრო ეკონომიკის დამკვიდრებას.

— ხომ არ აჯობებდა, ბატონო ჯუმბერ, ცოტაც მოგვეცადა და კუპონის კი არა, ქართული ვალუტის კონვერტიზაცია მოგვეხდინა?

— არა. პირადად მე ქართული ფულის შემოღება ჯერ ნაადრევად მიმაჩნია. თუ ეროვნულ ვალუტას ჰიდილი ელოდება, უმჯობესია, პირველი დარტყმები ისევ კუპონმა მიიღოს. ეს იქნება ერთგვარი მოსამზადებელი პერიოდი, რომელიც ნოყიერ ნიადაგს შეუქმნის ქართულ ვალუტას აღმოცენებისა და დათავთავიანებისთვის...

ღმერთმა ქნას, ასე იყოს. ვალუტის ღონე ხომ ქვეყნის ღონეა. ეს ღონე და ძლიერი მას ჩვენ ყველამ ერთად უნდა შთავბეროთ. თანაც, ახლავე, გზის დასაწყისში, თორემ შემდეგ გვიან იქნება.

ოთარ ხუციშვილი.

პრივატიზაციის ტიპობრივი გეგმა

(ივსება პრივატიზაციის სამუშაო კომისიის ან სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს (შესაბამისი ტერიტორიული ორგანოს) მიერ შექმნილი, საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1993 წლის 10 აპრილის № 288 დადგენილების შესაბამისად მოქმედი პრივატიზაციის სამუშაო კომისიის მიერ)

I. ობიექტის რეკვიზიტები (გარდაქმნამდე)

1. სრული და შემოკლებული დასახელება: ________

2. იურიდიული მისამართი (ქვედანაყოფების ადგილმდებარეობა): ________

3. ობიექტის სახელმწიფო რეგისტრაციის თარიღი და ნომერი: ________

არ ივსება ქვედანაყოფების მიერ, რომლებიც არ არიან იურიდიული პირები

4. ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა: ________

5. იმ გაერთიანების სრული დასახელება და იურიდიული მისამართი (ასოციაცია, კონცერნი და ა. შ.), რომლის შემადგენლობაშიც შედის საწარმო (ქვედანაყოფებისათვის ასევე ნაჩვენები უნდა იქნეს საწარმოს დასახელება და მისამართი, რომლის შემადგენლობაშიც იგი შედის): ________

6. საწარმოს (ქვედანაყოფის) საანგარიშსწორებო (მიმდინარე) და სხვა ანგარიშების ნომრები, მომსახურე საბანკო დაწესებულებების დასახელებანი და რეკვიზიტები: ________

7. სახელმწიფო საწარმოს მიერ დაფუძნებული საწარმოების (ქვესაწარმოები, მცირე საწარმოები) დასახელება და მისამართი: ________

1) საწარმოს სრული დასახელება და იურიდიული სტატუსი
ა) იურიდიული მისამართი ________;
ბ) საწესდებო კაპიტალის სიდიდე ________ ათასი მანეთი;
გ) საწარმოს წილი საწესდებო კაპიტალში ________%.
2)

საწარმოს სრული დასახელება და იურიდიული სტატუსი
ა) იურიდიული მისამართი ________;
ბ) საწესდებო კაპიტალის სიდიდე ________ ათასი მანეთი;
გ) საწარმოს წილი საწესდებო კაპიტალში ________%.
8. ქვედანაყოფების დასახელება და მისამართი: ________

II. ობიექტის ძირითადი მახასიათებლები (1992 წლის 1 იანვრისა და 1993 წლის 1 იანვრის მონაცემებით)

1. მომუშავეთა საშუალო სიობრივი რაოდენობა (კაცი) ... ...
2. ძირითადი ფონდების საბალანსო ღირებ. (ათას მან.) ... ...
3. საბალანსო მოგება (ათას. მან.) ... ...
4. გადასახადებისა და სხვა სავალდებულო გადასახდელების გადახდის შემდეგ დარჩენილი ფაქტიური მოგება X ...
5. საწესდებო კაპიტალის სიდიდე (განისაზღვრება საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1993 წლის 10 აპრილის № 288 დადგენილებით განსაზღვრული წესით, ათას მან.) X ...
6. ეკონომიური სტიმულირების ფონდის სიდ. (ათას მან.) X ...
7. ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის იჯარით (სარგებლობისათვის) ასევე ერთობლივი საქმიანობის განსახორციელებლად გადაცემული ობიექტების (ქონების) შემადგენლობა და ღირებულება (ათას მან.) ... ...
8. იმ ობიექტების გამსხვილებული ჩამონათვალი და ღირებულება, რომლებიც პრივატიზებას არ ექვემდებარებიან:
1. ________
2. ________
3. ________
სულ: ათასი მანეთი
9. სააქციო საზოგადოების მიერ პრივატიზებას არდაქვემდებარებულ სოციალურ-კულტურული და სოციალურ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების (მათ შორის დამოუკიდებელი ბალანსის მქონე) ობიექტების გამოყენების წინადადებანი:

____

10. საქართველოში და საზღვარგარეთ იმ ობიექტების (საწარმოები, ბანკები, ფირმები, ორგანიზაციები და სხვა იურიდიული პირები) ჩამონათვალი, რომელშიც საწარმოს აქვს წილობრივი მონაწილეობა (სააქციო საზოგადოებების აქციები, ერთობლივ საწარმოებში, ამხანაგობებში პაი და წილები) შემდეგი ფორმით:

1) ობიექტის სრული დასახელება და იურიდიული სტატუსი
ა) ობიექტის იურიდიული მისამართი ________;
ბ) ობიექტის საწესდებო კაპიტალის სიდიდე ________ ათასი მანეთი;
გ) საწარმოს წილი ობიექტის საწესდებო კაპიტალში ________%.

2) ობიექტის სრული დასახელება და იურიდიული სტატუსი
ა) ობიექტის იურიდიული მისამართი ________;
ბ) ობიექტის საწესდებო კაპიტალის სიდიდე ________ ათასი მანეთი;
გ) საწარმოს წილი ობიექტის საწესდებო კაპიტალში ________%.
11. საწარმოების, ქვედანაყოფის საქმიანობის ძირითადი სახეები: ________

12. წარმოებული პროდუქტის, სამუშაოს, მომსახურების ძირითადი სახეები:
13. 1993 წლის 1 აპრილისთვის ბალანსით არსებული ობიექტების ჩამონათვალი და დაუმთავრებელი ობიექტების დასახელება:

ობიექტის დასახელება	სამუშაოს მოცულობა ხარჯთაღრიცხვით	ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს მოცულობა
________	________	________

14. 1993 წლის 1 აპრილის საბალანსო მონაცემებით დაუმონტაჟებელი (დაუდგმელი) მოწყობილობების ჩამონათვალი და ღირებულება (ათას მან.):

მოწყობილობის შემადგენლობა	ღირებულება ბალანსით
________	________

15. მონაცემები:
საწარმოს, ქვედანაყოფის მიწის ნაკვეთის საზღვრების, სიდიდის, ადგილმდებარეობის შესახებ ________
ეკოლოგიური, საინჟინრო-გეოლოგიური პირობების, სოციალური, საინჟინრო-სატრანსპორტო, სოციალური ინფრასტრუქტურის მდგომარეობის, კულტურულ და ისტორიულ, საერთო სარგებლობის ობიექტების შესახებ ________

(მოწმდება რესპუბლიკის ქონების მართვის სამინისტროს ან მისი ტერიტორიული ორგანოს მიერ)

III. მონაცემები პრივატიზაციის სამუშაო კომისიის შესახებ

1. საწარმოს სამუშაო კომისიის შემადგენლობა:
ა) ადმინისტრაციის წარმომადგენლები: ________
(გვარი, სახელი, თანამდებობა) ________
(გვარი, სახელი, თანამდებობა)
ბ) საწარმოს მუშაკთა წარმომადგენელი: ________
(გვარი, სახელი) ________
(გვარი, სახელი)
2. სამუშაო კომისიის შექმნის თარიღი ________ 1993 წ.
(ხელმძღვანელის ბრძანება № ________),
საწარმოს მუშაკთა საერთო კრების (კონფერენციის) გადაწყვეტილება (ოქმი № ________).

IV. სააქციო საზოგადოების ფასიანი ქაღალდების განლაგება

1. სააქციო საზოგადოების სრული და შემოკლებული დასახელება:
2. ნომინალური ღირებულებით განლაგებული აქციების საერთო ღირებულება ________ ათასი მანეთი.
3. ერთი აქციის ნომინალური ღირებულება ________ მანეთი.
4. აქციების გამოშვების ფორმა: ________
სერთიფიკატი, სახელობითი, აქციის ბლანკის სახით

V. აქციების განლაგებისა და გაყიდვის წესი. მოცულობა და ვადები

1. საწარმოს მუშაკებზე და მოქმედი კანონმდებლობით მათთან გათანაბრებულ პირებზე შეღავათიანი პირობებით აქციების განაწილების წესი, მოცულობა და ვადები საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1993 წლის 10 აპრილის № 288 დადგენილებით და სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზაციის სახელმწიფო პროგრამით ვანსაზღვრული წესის შესაბამისობაში:

აქციების განაწილების ფორმა	პირთა რიცხოვნება	განაწ. თარიღი		აქციების მოცულობა	
		დაწყ.	დამთ.	ათ. მან.	% მთლიანთან
უფასოდ	________	________	________	________	________
შეღ. ფასით	________	________	________	________	________

(მოწმდება რესპუბლიკის ქონების მართვის სამინისტროს ან მისი ტერიტორიული ორგანოს მიერ)
2. დარჩენილი აქციებიდან ექვემდებარება:
2. 1. მსხვილ ინვესტორებზე გაყიდვას ________ აქციიანი ________ აქციათა პაკეტის სახით. მათ შორის:

აქციების განაწილების ფორმა	პაკეტების რაოდ-ბა	გაყიდ. თარიღი		აქციების მოცულობა	
		დაწყ.	დამთ.	ათ. მან.	% მთლიანთან
საბარათო აუქც-ზე	________	________	________	________	________
აუქციონზე	________	________	________	________	________
კონკურსის წესით	________	________	________	________	________

2. 2. წვრილ ინვესტორებზე გაყიდვას ________ აქცია. მათ შორის:

აქციების განაწილების ფორმა	აქციების რაოდ-ობა	გაყ. თარიღი		აქციების მოცულობა	
		დაწყ.	დამთ.	ათ. მან.	% მთლიანთან
საბარათო აუქც-ზე	________	________	________	________	________
აუქციონზე	________	________	________	________	________
კონკურსის წესით	________	________	________	________	________

(ივსება რესპუბლიკის ქონების მართვის სამინისტროს ან მისი ტერიტორიული ორგანოს მიერ)

პრივატიზაციის გეგმა წარმოდგინდება შემდეგ საბუთებთან ერთად:

ა) 1991 წლის და 1992 წლის საწარმოს წლიური ბალანსები, შეფასების აქტი, მონაცემები კრედიტორული და დებიტორული დავალიანებების (ვადაგადაცილებული დავალიანებების ჩვენებით) შესახებ;
ბ) სააქციო საზოგადოების წესდება, რომელიც შეესაბამება სააქციო საზოგადოების ტიპობრივ წესდებას;
გ) საწარმოს ხელმძღვანელის ბრძანება ან კიდევ საერთო კრების (კონფერენციის) ოქმი სამუშაო კომისიის შექმნის შესახებ;
დ) საწარმოს მიწის ნაკვეთის განლაგების სიტუაციური გეგმა;
გეგმის წარმოდგენის თარიღი ________
საწარმოს პრივატიზაციის სამუშაო
კომისიის თავმჯდომარის ხელმოწერა ________ გვარი ს.
სამუშაო კომისიის წევრების ხელმოწერები ________
შეთანხმების თარიღი ________
„შეთანხმებულია"
სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს ან მისი ტერიტორიული ორგანოს კომისიასთან
კომისიის წევრების ხელმოწერები ________ ________ გვარი ს.
________ გვარი ს
________ გვარი ს

„დამტკიცებულია"
საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის
მინისტრი ________ ა. სილაგაძე
ან სახელმწიფო ქონების მართვის ტერიტორიული ორგანოს
ხელმძღვანელი ბ. ა. გვარი ს

არც ერთი შეკითხვა უპასუხოდ

გაუგებრობა რომ ავიცილოთ

საკონსულტაციო ჯგუფი უპასუხებს მკითხველთა შეკითხვებს

— არც მე და არც დედაჩემს, რომელიც კოლმეურნეობაში მუშაობდა და დღეს პენსიონერია, არ მოგვცეს მიწის ნაკვეთი, იმ მოტივით, რომ ოსებს მიწას არ ვაძლევთო. სწორია თუ არა მიწის რეფორმის კომისიის ასეთი პასუხი? — დუშეთის რაიონი, სოფელი ხაზალეთი, ანზორ ლატოშვილი.

— მოქალაქეთა სარეფორმო მიწებით დაკმაყოფილების საკითხებს საბოლოოდ წყვეტენ არა კომისიები ან მათი ცალკეული წევრები, არამედ სოფლის მოსახლეობის საერთო კრება.

— კოლმეურნეობის შექმნის დროს ბევრს ჩამოერთვა სხვადასხვა სახის ქონება (მიწა, პირუტყვი, საოჯახო ნივთები და სხვა). კოლმეურნეობის დაშლის გამო შეიძლება თუ არა მემკვიდრეებმა მოვითხოვოთ კუთვნილი ქონება? — დედოფლისწყაროს რაიონი, სოფელი ზემო ქედი, შალვა ხუციანიძე.

— წინაპართა დანაშთი ქონების მემკვიდრეობით გადაცემის საკითხის განხილვა იუსტიციის სამინისტროს კომპეტენციაა.

— მეკუთვნის თუ არა ხორბლის მოსავალი იმ მიწებიდან, რომლებიც სარეფორმო იყო, მაგრამ მოსავლის აღებამდე მოქალაქეებზე მიწის გაცემა შეაჩერეს. თელავის რაიონი, სოფელ შალაურის მოსახლეობა.

— სახელმწიფო მეურნეობაში მოწეული მოსავალი სახელმწიფოს კუთვნილებაა, მით უმეტეს, რომ მიწის რეფორმის დაწყებამდე მეურნეობის მიერ ხორბალი უკვე დათესილი იყო. ადმინისტრაციის გადაწყვეტილებით შეიძლება მოსავლის ნაწილი მიეყიდოს სოფლის მოსახლეობას, პირველ რიგში კი მეურნეობის მუშებსა და სპეციალისტებს.

— მინდა დავბრუნდე კომლად მშობლიურ სოფელში, იმ სოფელში ცხოვრობენ ჩემი ღვიძლი ნათესავები, კომლად აღრიცხვაზე უარს მეუბნებიან, სამართლიანია მათი უარი? — ქალაქი ქუთაისი, დოდო ფორჩხაძე.

— სოფლად მცხოვრებ კომლად გაფორმებისათვის საჭიროა საპასპორტო წესების დაცვა, ქალაქიდან ამოწერა და სოფლად ჩაწერა. ამ ოპერაციებს ასრულებენ მილიციისა და საკრებულოების საპასპორტო მაგიდის სამსახურები. დამატებით განვიმარტავთ, რომ არსებული კანონმდებლობით, რესპუბლიკის მოქალაქეს უფლება აქვს თავის სურვილისამებრ აირჩიოს საცხოვრებელი ადგილი.

— შეიძლება თუ არა დავიბრუნო ჩემი ყოფილი მიწა, სიღნაღის რაიონის სოფელ ანაგაში, რომელსაც ზევადიან სამხედრო სამსახურში ყოფნის დროს იქვე მცხოვრები ჩემი უმცროსი ძმა დაეპატრონა? ქალაქი რუსთავი, ალექსანდრე ხანიაშვილი.

— სოფლად მცხოვრები ძმის კანონიერ სარგებლობაში არსებულ მიწას აღარ დაგიბრუნებენ. თქვენი დაკმაყოფილება შეიძლება მოხდეს ქალაქელთათვის დადგენილი საერთო წესით.

— ვარ სამტრედიის კოლმეურნეობის კოლმეურნე, ვფლობდი 0.27 ჰექტარ საკარმიდამო მიწის ნაკვეთს, გზის გაყვანის გამო დამრჩა 0.12 დანარჩენი დაიკავა გზამ და მშენებლობამ, რომლის ანაზღაურება არ მოუციათ, ათი წლის წინ მივმართე კოლმეურნეობას საკარმიდამო ნაკვეთის შევსების შესახებ, მაგრამ შედეგი არ არის. მეკუთვნის თუ არა საკარმიდამოს აღდგენა და ვინ უნდა დამაკმაყოფილოს? — ქალაქი სამტრედია, გიორგი ნაცვლიშვილი.

— ყოფილი საკარმიდამოს „აღდგენის" მოთხოვნა უკანონოა. მიწის რეფორმასთან დაკავშირებით შეიძლება თქვენი დაკმაყოფილება 0.25 ჰექტრამდე ქალაქელთათვის დადგენილი საერთო წესით, ეს საკითხი სოფლის მოსახლეობის საერთო კრებამ უნდა განიხილოს.

— 1990 წელს მეუღლესთან ერთად დავბრუნდი მუდმივ საცხოვრებლად მშობლებთან სამაჩაბლოში, სოფელ ქსუისში. მაგრამ აქ შექმნილი სირთულეების გამო ქალაქ თბილისიდან ამოწერა და სოფელ ქსუისში ჩაწერა დღემდე ვერ მოხერხდა. 1991 წელს კი მშობლები გარდაიცვალნენ. მყავს დები და ძმა, რომლებიც ცხოვრობენ ქალაქ თბილისსა და გორში. გთხოვთ განგვიმარტოთ, როგორი წესითა და რა რაოდენობით განგვესაზღვრება მე და ჩემს დედმამიშვილებს სარეფორმო მიწის ფართობი. — ქალაქი თბილისი, ფანჯუშა ზოშიტაშვილი.

— სარეფორმო მიწის ნაკვეთებით თქვენი დაკმაყოფილება შეიძლება ქალაქად მცხოვრებთათვის დადგენილი საერთო წესითა და ნორმებით.

მოვუაროთ ქართულ ენას

საყოველთაო გაჭირვების დროს საზოგადოება ბევრ რამეს ითმენს და იკლებს იმის იმედით, რომ მომავალში, როცა საქმე უკეთ წავა, ნაკლი გამოსწორდება და ყველაფერი კალაპოტში ჩადგება. მაგრამ არის ზოგი რამ ისეთი, რასთანაც შეგუება არ შეიძლება, თორემ ერთხელვე წამხდარი საქმის გამოსწორება შემდგომში შეუძლებელი იქნება. ერთ-ერთ ასეთ გადაუდებელ და უმნიშვნელოვანეს საქმედ, რომელსაც ყოველდღიური ყურადღება სჭირდება, მიგვაჩნია ჩვენი ქართული ენის მოვლა-პატრონობა.

გავიხსენოთ დიდი ილიას სიტყვები: „სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა ჩვენ მამა-პაპათაგან: მამული, ენა, სარწმუნოება. თუ ამათაც არ ვუპატრონეთ, რა კაცები ვიქნებით, რა პასუხს გავცემთ შთამომავლობას?".

ილიასეული წმინდა სამება — მამული, ენა, სარწმუნოება — იქცა ქართული ეროვნული მოძრაობის დევიზად და ამ დევიზით ბოლო დროს, დაწყებული 1978 წლის 14 აპრილით, არაერთი გამარჯვება იქნა მოპოვებული. ამ მხრივ ერთგვარი დადებითი როლი შეასრულა ე. წ. გარდაქმნის პროცესმაც, რომელმაც კომუნისტური პარტიის რიგებშივე მოქმედ პატრიოტულ ძალებს ხელ-ფეხი გაუხსნა და უფრო აქტიური მოქმედების საშუალება მისცა. ამის შედეგი იყო ქართული ენის საათების გაზრდა საშუალო სკოლაში, ქართული ენის კურსის შემოღება უმაღლესი სასწავლებლების არაჰუმანიტარულ სპეციალობებზე. სატელევიზიო გადაცემათა ციკლები ქართული ენის შესასწავლად და დასაცავად, ფოლკლორული საღამოები, და ბოლოს — ქართული ენის სახელმწიფო პროგრამის შემუშავება.

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენამ და საერთაშორისო აღიარებამ გააფართოვა და განამტკიცა ქართული ენის ფუნქციები და ურყევი საფუძველი შეუქმნა მათ დაცვას ყველა სფეროში. ამის შედეგად მოსალოდნელი იყო, რომ სახელმწიფოებრივი მზრუნველობა ქართული ენისადმი კიდევ უფრო გაცხოველდებოდა და ყოვლისმომცველ სახეს მიიღებდა, მაგრამ ჩვენი ქვეყნის თავზე დატეხილმა ათასგვარმა უბედურებამ შეანელა ყურადღება ენობრივი პოლიტიკის თეორიული თუ პრაქტიკული საკითხებისადმი, რის გამოც ბევრი კეთილი წამოწყება ჩაიფუშა ან ჩაშლის პირამდეა მისული, ხოლო ახლად წამოჭრილი არაერთი პრაქტიკული საკითხი ჯერჯერობით მოუგვარებელია.

ახალი დროების ერთ-ერთი უდიდესი და უმნიშვნელოვანესი მონაპოვარია მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა განთავისუფლება ცენზურის მარწუხებისაგან. ახლა ყველა უფლებამოსილია ნებისმიერი გზით (ოღონდ ძალდაუტანებლად) გაავრცელოს საკუთარი აზრი. მაგრამ აზრისა და სიტყვის თავისუფლება სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ ყველას, ვინც კი ასე თუ ისე მოახერხებს თავისი ნააზრევის ქაღალდზე გადატანას, ნება დაერთოს ყველაფერი მოუზომავად და განურჩევლად მიაწოდოს მკითხველს. სხვა თუ არაფერი, ავტორს ზრდილობის ელემენტარული ნორმების დაცვა და უცენზურო სიტყვების ხმარებისაგან თავის შეკავება მაინც მოეთხოვება. დღეს კი იმის მოწმენიცა ვართ, რომ ზოგი ამ ნორმებსაც არაფრად აგდებს

რაც შეეხება ენობრივი ნორმების დარღვევას, ამ მხრივ მდგომარეობა მართლაც რომ საგანგაშოა. ჩვენს ჟურნალ-გაზეთებსა და წიგნებში გახშირდა არა მხოლოდ სტილისტური ან ნაკლებად თვალში საცემი გრამატიკული უზუსტობანი, რომელთაგანაც სავსებით დაზღვეული არავინ არის. ამათ გვერდით თითქმის ყოველ ნაბიჯზე გვხვდება უხეში ორთოგრაფიული შეცდომები, უცხო სიტყვებით გატაცება, ფსევდო-არქაული ქართული. ხშირად წერტილ-მძიმეც კი არ არის დასმული თავის ადგილზე. რჩება შთაბეჭდილება, რომ რედაქციებში ლიტმუშაკისა თუ სტილისტის შტატი გაუქმებულია ან ამ საქმეს არაპროფესიონალები განაგებენ. სამწუხაროდ, ეს ეხება არა მხოლოდ ახლად მომრავლებულ პერიოდულ თუ არაპერიოდულ გამოცემებს, არამედ ჩვენი პრესის ძველ ფლაგმანებსაც.

ასეთ ვითარებაში იქნებ საჭირო იყოს, რომ ჟურნალისტთა ფედერაციამ ან სხვა შესაბამისმა ორგანიზაციამ ითავოს და სოლიდური ჯარიმა დააწესოს სალიტერატურო ენის ნორმების დარღვევისათვის.

საქმეს ართულებს ის გარემოება, რომ ახლად მომრავლებული კერძო საგამომცემლო ფირმები და კოოპერატივები დიდი ხნის წინათ გამოცემულ წიგნებს ხელახლა ბეჭდავენ თანამედროვე ტექსტოლოგიური პრინციპების გაუთვალისწინებლად, მოძველებული ორთოგრაფიით, მძიმე კორექტურული შეცდომებით. დამშლელი და გამკითხავი არავინ არის.

საერთოდ, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლამ და მხოლოდ მოგების გამოდევნებამ ცუდ დღეში ჩააგდო ქართული წიგნი. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ თბილისის ცენტრში წიგნის მაღაზია სასურსათო და საგალანტერეო საქონლით ვაჭრობს. ნუთუ ქართული წიგნი ისე წამგებიანია, რომ სხვა გამოსავალი არ არსებობს? მაშ როგორღა ხდება, რომ იგივე წიგნი კერძო გამომცემლებს საკმაოდ დიდ მოგებას აძლევს?!

რა თქმა უნდა, ჩვენ არ ვურჩევთ სახელმწიფო გამომცემლობებს, რომ კერძო ფირმების მსგავსად დეტექტური და პორნოგრაფიული ლიტერატურის გამოცემაზე აიღონ გეზი, მაგრამ განა ცოტა რამ არის გამოსაცემი ისეთი, რაც მკითხველის სულიერ მოთხოვნილებასაც დააკმაყოფილებს და მატერიალურადაც მომგებიანი იქნება?

ამ ორიოდე წლის წინათ პარიზში უმაღლეს პოლიგრაფიულ დონეზე დაიბეჭდა ილია ჭავჭავაძის რჩეულ თხზულებათა ექვსტომეულის 4 ტომი, რომელსაც სიძვირის მიუხედავად სანთლით დაეძებდა მკითხველი. მისი ბოლო ორი ტომი დღესაც გამოუცემელია. დღევანდელი ჩვენი ეკონომიკის შემყურენი, ცხადია, ასეთ ძვირფას გამოცემებზე ჯერჯერობით ვერ ვიოცნებებთ, მაგრამ ჩვენი შესაძლებლობის ფარგლებში მაინც მივხედოთ კლასიკოსთა გამოცემას.

რას ვაკეთებთ ჩვენ ამ მხრივ?

ილია ჭავჭავაძის თხზულებათა ახალი აკადემიური გამოცემის I ტომი მწერლის საიუბილეო დღეებში, 1987 წელს, მიიღო მკითხველმა. წელიწადში თითო ტომი გამოდიოდა და 1991 წლამდე 5 ტომი გამოვიდა. ასე კუს ნაბიჯით 20 ტომს 20 წელი დასჭირდებოდა, მაგრამ შემდეგ საქმე უარესად წავიდა და გამოცემა სულ შეჩერდა. VI ტომი 1991 წლიდან სტამბაში დევს აწყობილი და დასაბეჭდად გამზადებული, მომდევნო ტომები კი უძრავად აწყვია გამომცემლობაში. ისინი შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტმა მოამზადა დასაბეჭდად, რაშიაც გამომცემლობას კაპიკიც არ დახარჯვია. არა გვგონია, ასეთი გამოცემა საზარალო იყოს თუნდაც საბაზრო ეკონომიკის პირობებში.

იგივე შეიძლება ითქვას აკაკი წერეთლის თხზულებათა აკადემიურ გამოცემაზე, რომლისაც მხოლოდ 1 ტომი გამოიცა 1991 წელს.

ასეთივე არასახარბიელო სურათია ჩვენი დიდი მეცნიერების ივანე ჯავახიშვილისა და აკაკი შანიძის თხზულებათა გამოცემის მხრივაც. თითოეული გამოცემა 12 ტომად იყო ნავარაუდევი და 1985 წელს უნდა დასრულებულიყო, მაგრამ დღესაც შუა გზაზეა შეჩერებული (გამოსაცემი დარჩა ი. ჯავახიშვილის 4 ტომი, ა. შანიძის — 7 ტომი).

იქნებ ვინმეს სერიოზულად ეეჭვება, რომ გამომცემლობას ზარალს მოუტანდა ქართული ორთოგრაფიული ლექსიკონის ახალი გამოცემა, რომელსაც ორი ათეული წელია მოთმინებით ელოდება მკითხველი?

განგაშის ზარი

რამდენიმე წელია სტამბაშია დიდი შრომითა და რუდუნებით შედგენილი სვანური ლექსიკონი, რომლითაც დიდად არიან დაინტერესებული არა მარტო საქართველოში, არამედ უცხოეთშიც. მისი გამოცემა ქართული მეცნიერების პრესტიჟის საქმეა. რა ზარალზე შეიძლება აქ ლაპარაკი?!

გულსატკენია, რომ ამ დროს სწრაფი ტემპით იბეჭდება საეჭვო ღირსების ათასგვარი წიგნი, მათ შორის ზოგი — ავტორისა თუ მთარგმნელის მოუხსენიებლად, გამომცემლობის მიუთითებლად, ტირაჟის აღუნიშნავად. საინტერესოა, სად და როგორ აღირიცხება ასეთი გამოცემები, მათი სავალდებულო ეგზემპლარები მაინც თუ ეგზავნება სათანადო დაწესებულებებს (წიგნის პალატას, ეროვნულ ბიბლიოთეკას და სხვ.), როგორც ეს წესად იყო ადრე? საკითხავია ისიც, თუ როგორ იანგარიშება ამ „სახელშეკრულებო ფასის" მქონე წიგნების შემოსავალი და იქიდან რამდენი პროცენტი შედის სახელმწიფო ბიუჯეტში?

მნიშვნელოვანი ხარვეზებია საშუალო და უმაღლესი სკოლის სახელმძღვანელოების გამოცემის საქმეში. ბუნებრივია, ქართული ენის, ლიტერატურის, საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოები, დაწერილი ათეული წლების წინათ, დღეს საფუძვლიან გადამუშავებას მოითხოვს, ახალი სახელმძღვანელოების მოსამზადებლად მუშაობა კი ნელი ტემპით მიმდინარეობს.

დასამალი არ არის, რომ ბოლო დროს საერთოდ დაეცა სწავლების ხარისხი როგორც საშუალო, ისე უმაღლეს სასწავლებლებში. ამის ერთ-ერთი არსებითი მიზეზია მომთხოვნელობის შესუსტება უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდების დროს. ამას კი თავის მხრივ ხელს უწყობს ე. წ. ფასიანი უმაღლესი სასწავლებლების უჩვეულო და ყოვლად გაუმართლებელი სიმრავლე.

უდავო ფაქტია, რომ ამ სასწავლებლების დიდი ნაწილი მისაღებ გამოცდებს ფორმალურად ატარებს და კარს ფართოდ უღებს მოუმზადებელ ახალგაზრდებს. არ არსებობს კონტროლის ეფექტური სისტემა იმის შესამოწმებლად, თუ რა მოცულობით, რა პროგრამით ისწავლება ესა თუ ის საგანი ამ სასწავლებლებში, როგორაა შედგენილი მათი სასწავლო გეგმები პირველიდან ბოლო კურსამდე, აქვთ თუ არა სათანადო სასწავლო ბაზა, საკმაო რაოდენობით ჰყავთ თუ არა პროფესორ-მასწავლებელთა კვალიფიციური კადრები.

ამჯერად ჩვენ ყურადღებას შევაჩერებთ მხოლოდ ქართული ენის სწავლების მდგომარეობაზე, რაშიაც არა მარტო კერძო (ფასიანი), არამედ სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლებიც საკმაოდ სცოდავენ.

ათიოდე წლის წინათ რესპუბლიკის მაშინდელი უმაღლესი განათლების სამინისტროს ხელმძღვანელობამ უდავოდ სწორი გადაწყვეტილება მიიღო და უმაღლესი სკოლის არაჰუმანიტარულ სპეციალობებზე შემოიღო ქართული ენის სწავლება, რათა ჩვენს სტუდენტ ახალგაზრდობას განემტკიცებინა მშობლიური ენის ცოდნა. რეკომენდებული იყო, რომ ამ საგანს დათმობოდა კვირაში ორი საათი ერთი წლის განმავლობაში. დასასრულ სავალდებულო დიფერენცირებული ჩათვლით ან გამოცდით.

ამ სიახლეს თავიდანვე გულისხმიერად მოეკიდნენ იმდროინდელი პოლიტექნიკური და სამედიცინო ინსტიტუტების ხელმძღვანელები, რომელთა ინიციატივითაც ამ უმაღლეს სასწავლებლებში შეიქმნა ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრები. მაგრამ ყველა როდი მოიქცა ასე. მაგალითად, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში ამ საქმეს თავი აარიდეს იმ მოტივით, რომ ისინი საკავშირო უწყებას ექვემდებარებოდნენ და უფლება არ ჰქონდათ ცვლილებები შეეტანათ სასწავლო გეგმაში. ბოლოს ქართული ენა შეიტანეს მხოლოდ ზოგიერთ სპეციალობაზე ფაკულტატურ საგნად და ისიც ერთი სემესტრის განმავლობაში.

აგრარული უნივერსიტეტი ახლა უკვე დამოუკიდებლად ადგენს თავის სასწავლო გეგმებს, მაგრამ ქართული ენის სწავლების გაუმჯობესება და მით უფრო კათედრის დაარსება იქ არავის გახსენებია.

ქართული ენისადმი უყურადღებობა, მისი პრესტიჟის იგნორირება იგრძნობა სხვა უმაღლეს სასწავლებლებშიც, სახელდობრ, მისაღები გამოცდების ჩატარების პროცესში. როგორ შეიძლება აბიტურიენტს არ მოეკითხოს მშობლიური ენისა და ლიტერატურის ცოდნა, რა სპეციალისტი დადგება მისგან უამისოდ?!

საჭიროა დაუყოვნებლივ, ვიდრე ჯერ კიდევ შეიძლება შველა, ყველა ღონე ვიხმაროთ ჩვენს საშუალო და უმაღლეს სკოლაში სწავლების დონის ასამაღლებლად და, კერძოდ, ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების გასაუმჯობესებლად, აღვკვეთოთ ქართული ენის იგნორირების ცდები მისაღებ გამოცდებზე, ვიზრუნოთ ქართული ენის სახელმძღვანელოების, დამხმარე ლიტერატურის, თვითმასწავლებლების, ლექსიკონების გამოსაცემად.

ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ ქართული ენის სახელმწიფო პროგრამა, რომლის შედგენაშიც თავის დროზე აქტიური მონაწილეობა მიიღო არა ერთმა სამეცნიერო კოლექტივმა და სპეციალისტმა, მრავალ საჭირო და სასარგებლო ღონისძიებას ითვალისწინებდა, რომელთა სისრულეში მოყვანა დღესაც სასურველია. საჭიროდ მიგვაჩნია განახლება ამ დოკუმენტისა და დამტკიცება რესპუბლიკის პარლამენტის მიერ, რის შემდეგაც მისი განხორციელება, ცხოვრებაში გატარება მტკიცედ უნდა იყოს გარანტირებული.

დასასრულ, კიდევ ერთი საკითხიც. ქართული სალიტერატურო ენის ნორმებში ბევრი რამ მოსაწესრიგებელია, ამ ნორმათა დამდგენი მუდმივი სახელმწიფო კომისია კი დიდი ხანია აღარ მოქმედებს, შეიძლება ითქვას, კომისია აღარ არსებობს. საჭიროა მისი აღდგენა ან სხვა შესაბამისი ორგანოს შექმნა.

მრავალ ჭირთა მთმენი ქართველი ხალხი მამაცურად იტანს გასაჭირს და მზად არის ბევრი რამ შეუნდოს მტერსა თუ მოყვარეს, მაგრამ ქართული ენის მიმართ გულგრილობას და უყურადღებობას არავის გვაპატიებს. მივხედოთ ჩვენს დედაენას.

ელენე ბაბუნაშვილი,
პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი ქართული ენის კათედრის გამგე;

კორნელი დანელია,
პროფესორი, ძველი ქართული ენის კათედრის გამგე, ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანი;

ზურაბ ჭუმბურიძე,
პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ტექსტოლოგიის განყოფილების გამგე.

ბესარიონ ჯორბენაძე,
პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორი.

ღობემორღვეული საზღვრები და ჩვენი მებაჟეები

ძნელად მოიძებნება ადამიანი, ვისზეც საბაჟოს გავლა უსიამოდ არ მოქმედებდეს. ვფიქრობ, არც მებაჟეებისთვის (დაინტერესებულთ არ ვგულისხმობ) უნდა იყოს მთლად სასიამოვნო საქმე. თუმცა ამის გამო საბაჟოები არავის გაუუქმებია და დღემდე მსოფლიოს თითქმის ყველა სახელმწიფოს საზღვარზე ფუნქციონირებს.

ვიდრე საბჭოთა კავშირი არსებობდა, საქართველოში ერთი, მოსკოვს დაქვემდებარებული ფოთის საბაჟო მოქმედებდა. ხუთიოდე თვის წინათ კი, რესპუბლიკაში დამოუკიდებელი საბაჟო კომიტეტი ჩამოყალიბდა, რომლის თავმჯდომარედ ირაკლი ქადაგიშვილი დაინიშნა.

ბატონი ირაკლის ამ სამსახურში მოსვლას ყველამ იმედიანად შეხედა, მისი უდავო პიროვნული შესაძლებლობებისა და პასუხისმგებლობის გამო, მაგრამ თუ კაცს ხელშემწყობი პირობებიც არ ექნა და ხელი არ მოემართა, ძნელად საქმეს რომ წინსვლისა დაეტყოს რამე.

ამას წინათ სამართალდამცავი ორგანოების აქტივის კრებაზე ბატონმა თენგიზ სიგუამ რესპუბლიკიდან დიდძალი საქონლის, ფასეულობათა და ეროვნული სიმდიდრე-საგანძურის გატანის გამო სხვა სამსახურებთან ერთად საბაჟო კომიტეტსაც უსაყვედურა: მათ მუშაობას მოუქნელი უწოდა.



— **პრემიერი** მართალია. რეალობას ვერსად წაუვალთ, სამწუხაროდ, რესპუბლიკიდან კონტრაბანდის გატანა და ნარკოტიკის შემოტანა გრძელდება, მაგრამ იმას, რასაც ახლა გეტყვით, ნურც წუწუნში ჩამომართმევთ და ნურც თავის გამართლების ცდად. ესეც რეალობაა.

საბაჟო არ შეიძლება საზღვარზე ყველა გასასვლელში იდგეს. ეს მისი ფუნქცია არ არის. იგი მთავარ ტრანზიტულ გზებზე უნდა იყოს, რომელიც სახელმწიფოებს შორის ხელშეკრულებით იქნება გაფორმებული.

საზღვარს სასაზღვრო ჯარი უნდა იცავდეს. კონკრეტულ გასასვლელ გზებს კი საბაჟო გააკონტროლებს.

საქართველოს არც სასაზღვრო ჯარი ჰყავს და არც მაქსიმალურად დაცული საზღვრებითაა შემოფარგლული, რასაც მინიმუმამდე დაჰყავს ჩვენი მუშაობა.

რესპუბლიკაში დღეს, თავისი საკონტროლო გამშვები პუნქტებით, ხუთი საბაჟო (ფოთის, ბათუმის, სოხუმის, თბილისის, ბოლნისის) ფუნქციონირებს. საერთაშორისო სტანდარტებს კი მხოლოდ ბათუმში, ახლახან გახსნილი სარპის გამშვები პუნქტი შეესაბამება. ყველა დანარჩენი სავალალო მდგომარეობაშია. თვითონ განსაჯეთ: პრიმიტიულ ჯიხურებსა და ვაგონებში მოთავსებულ საკონტროლო გამშვებ პუნქტებში რა სპეცაღჭურვილობისა და ტექნიკის დამონტაჟება შეიძლება. თბილისის აეროპორტის საბაჟოც კი საბჭოთა კავშირის დროიდან შემორჩენილი, ერთი სპეციალური შემოწმების მანქანის ამარა არის.

რა თქმა უნდა, გულხელდაკრეფილნი არ ვსხედვართ. ვცდილობთ მოვიზიდოთ უცხოური კაპიტალი, მოვიწვიოთ საზღვარგარეთელი მშენებლები და სასაზღვრო გზებზე თანამედროვე ტიპის საბაჟო გამშვები პუნქტები ავაშენოთ, შევქმნათ ძლიერი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, განვავითაროთ ინფრასტრუქტურა, სპეციალური ფორმა ჩავაცვათ საბაჟოს მუშაკებს, მაგრამ ყველაფერ ამას ხომ ფინანსები და დრო სჭირდება?

— სწორედ ეს დროა „შავი ბიზნესის" წისქვილზე რომ ასხამს წყალს...

მალე საქართველო აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის სატრანზიტო კვანძი იქნება. ტვირთების გადაზიდვის გარდა, უეჭველია, ეცდებიან ნარკოტიკების შემოტანა-გატანას, რისი იმედი გაქვთ?

— თუ არ განმტკიცდა სახელმწიფო საზღვარი, სადაც მესაზღვრეს თავისი ფუნქცია და როლი ექნება, — ბევრი ვერაფრის. საბაჟოს მხოლოდ საიმედოდ გამაგრებული და დაცული საზღვრის პირობებში შეუძლია ნორმალური მუშაობა.

ამავე დროს, უნდა გვქონდეს ყველა ის სპეციფიკური, ოპერატიული ინფორმაცია, რომელიც ნარკომანიისა და კონტრაბანდის წინააღმდეგ ბრძოლას სჭირდება. ინფორმაციის მფლობელი და ჩვენამდე მომტანი, რა თქმა უნდა, დაზვერვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს სამსახურები უნდა იყონ. ვფიქრობ, პრობლემას ასეთი კომპლექსური მიდგომით თუ ეშველება, თორემ ცალ-ცალკე ვერცერთი სამსახური ვერაფერს შეძლებს.

— როგორ ფიქრობთ, უკუღმა დაწყებულს ხომ არ ჰგავს ეს საქმე: ჯერ საზღვრები რომ არა გვაქვს გამაგრებული და საბაჟოს საკონტროლო გამშვებ პუნქტებს ვაარსებთ?

— უკეთესი იქნებოდა პირიქით ყოფილიყო ან პარალელურად კეთდებოდეს, მაგრამ საბაჟოები დღეს აუცილებლად უნდა გაიხსნას. ეს გარკვეულ ეფექტს იძლევა.

მართალია, უკანონო ტვირთბრუნვას ვერ შევამცირებთ, უნამუსო კაცი საბაჟოს გვერდს აუვლის და ნახევარ კილომეტრში სავალი გზით მაინც შემოიტანს, თუ გაიტანს აკრძალულს, მაგრამ სარკინიგზო და დიდი მოცულობის ტვირთბრუნვის გაკონტროლებას ხომ მაინც შევძლებთ?

— თქვენი მუშაკების კეთილსინდისიერების იმედი თუ გაქვთ?

— მე კატეგორიულად განვუცხადე მათ: ვინც რაიმე გარიგებაში იქნება შემჩნეული, დატოვებს სამსახურს და მისი საქმე გადაეცემა გამოძიებას.

— ზოგი თავისას მაინც რომ არ იშლის?

— შეიძლება. ჩვენ ხომ რთულ, მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაში ვართ? ბევრ საკითხში, სამწუხაროდ, დარღვეულია ერის მენტალიტეტი. ამიტომაც კანონის დარღვევა, წესრიგის დაუცველობა, უპასუხისმგებლობა, არამარტო ჩვეულებრივ რიგით მოქალაქეშია გამჯდარი, თანამდებობის პირებშიც, ჩემი ჩათვლით. ეს საერთო სატკივარია და, ალბათ, ძალიან დიდი დრო დასჭირდება რომ აღმოიფხვრას.

— როგორია მებაჟეთა მატერიალური დაინტერესება, ხომ არ უბიძგებს იგი ცდუნებისაკენ?

— შეიძლება, რადგან მათი საშუალო ხელფასი 4 ათასი მანეთია, მაგრამ ანაზღაურების გაზრდისა და სოციალური პირობების გაუმჯობესების იმედი უკვე გვაქვს.

— რამდენადაც ვიცი, თქვენ საბიუჯეტო ორგანიზაცია ხართ, საამისო თანხას სახელმწიფო გიწყალობებთ?

— ეს წყალობა არ იქნება, რადგან გადასახადი, რომელიც ექსპორტ-იმპორტზეა გათვალისწინებული 100 პროცენტით შევა ბიუჯეტში, ხოლო გადასახადი საბაჟო მომსახურებაზე და მოსაკრებელი, რომელიც გაცილებით მცირეა, სახელმწიფოს მეთაურის გადაწყვეტილებითა და მინისტრთა კაბინეტის მხარდაჭერით (კანონითაც დაშვებულია, ყველა ქვეყანაში ასე ხდება) 100 პროცენტით დაგვრჩება ჩვენ.

გარდა ამისა, საბაჟო კომიტეტს 25 პროცენტი ამოღებული კონტრაბანდის რეალიზაციიდან დარჩება. ამ თანხებს კი მოვახმართ ხელფასების გაზრდას, მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და ინფრასტრუქტურის განვითარებას.

გარკვეული დანამატი დაწესდება ჩინებისა და სტაჟის მიხედვით, უცხო ენის ცოდნისთვის, გაიცემა პრემიებიც.

ერთი სიტყვით, ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ ჩვენმა მუშაკმა ყოველგვარ ცდუნებას გაუძლოს.

— პარლამენტის ერთ-ერთ სხდომაზე თქვენ მოითხოვეთ, რომ საბაჟოს მუშაკებსაც ჰქონდეთ იარაღის ტარების უფლება.

— დიახ, მოვითხოვე. ცივილიზებულ ქვეყნებში საბაჟოს მუშაკები იარაღის გარეშე ასრულებენ თავიანთ მოვალეობას და ასეც უნდა იყოს, მაგრამ ჩვენთან დღეს, როცა სახელმწიფო საზღვარი დაუცველია, როცა სხვადასხვა შეიარაღებული ბანდების თავდასხმები და ძალადობა ჯერ კიდევ დაუცველ საბაჟო ზონებსა და საკონტროლო გამშვებ პუნქტებზე არ ცხრება, უიარაღოდ ყოფნა ძნელია.

შეიარაღებული ყაჩაღი არ ცნობს კანონს, არ ემორჩილება სიტყვიერ მოთხოვნას, ცინიკურად გეუბნება: არავითარ საბაჟოს არ ვცნობ, რასაც მინდა იმას გავიტან და შემოვიტანო (ეს შემოტანა-გატანა კი ხშირად მთელი კოლონებია) და ცხვირწინ გიტრიალებს მუშტებს, გადადის ცემაზე, სროლაზე, მებაჟეს კი თავდაცვის მინიმალური საშუალებაც არა აქვს.

განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაა დმანისის, გარდაბნის, წითელი ხიდის მიმართულებით. ჩვენი მუშაკები, შეიძლება ითქვას, თავიანთ მოვალეობას თითქმის ვერ ასრულებენ. არც არის გასაკვირი, როცა გესვრიან, გწვავენ, აბუჩად გიგდებენ და შენ უძლური ხარ გაუწიო წინააღმდეგობა, თავსაც ვერ გამოიდებ...

შესაბამისად ჩამოყალიბებული დაცვის სამსახურის გარეშე საბაჟო ნორმალურ მუშაობას ვერ შეძლებს.

— ბატონო ირაკლი, ის საქმიანობა, რასაც საბაჟო თავის ძირითად ფუნქციად თვლის, მოქალაქეთა თვალთახედვის მიღმა რჩება. მაგალითად, ბიუჯეტისთვის მუშაობა, თუ სახელმწიფო საბაჟო სტატისტიკის შედგენა. მათ მეორე მხარე უფრო აინტერესებთ — რა შეუძლიათ გაიტანონ, რა — არა. და — პირიქით.

— არსებობს საბაჟო-სატარიფო საბჭო, რომელსაც ვიცეპრემიერი ხელმძღვანელობს. ამ საბჭოში არიან ეკონომიკის, ფინანსთა, იუსტიციის, საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობისა და საგარეო საქმეთა სამინისტროები.

საბჭოს მოვალეობაა მოაწესრიგოს საგადასახადო პოლიტიკა და დააზუსტოს რისი გატანა თუ შემოტანა შეუძლიათ მოქალაქეებს.

ჩვენ ასეთი კურსი გვაქვს აღებული: მაქსიმალურად ლიბერალური იყოს სავაჭრო პოლიტიკა, არ იყოს ზედმეტი შეზღუდვები. ამას, რა თქმა უნდა, შესაბამისად საბანკო სისტემის რეორგანიზაციაც სჭირდება.

— რამდენი დოლარის გატანის უფლება ექნება მოქალაქეს?

— ჯერჯერობით არ დაგვიდგენია, მაგრამ, ვფიქრობ, საკმაოდ ლიბერალურ გადაწყვეტილებას მივიღებთ.

— ევროპა თანდათან მიდის საერთო ბაზრის შექმნამდე, საზღვრებიც კი იშლება...

— ჩვენც არ შეიძლება კარჩაკეტილნი ვიყოთ. მართალია, საზღვრებს შევკრავთ, და წესრიგსაც დავამყარებთ, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ მოქალაქეებს გადაადგილებისა და თავისუფლად ვაჭრობის საშუალება არ ექნებათ. თავისუფალი ვაჭრობა სასურველია. იგი არცერთი ქვეყნისთვის არ არის წამგებიანი.

გვახსოვს რა ჩაკეტილი, მძლავრი ქვეყანა იყო საბჭოთა კავშირი, როგორ ჰქონდა საზღვრები გამაგრებული. რომ იტყვიან, შეუმჩნევლად ჩიტიც ვერ გადაფრინდებოდა. ცხადია, საბაჟოს საკონტროლო გამშვები პუნქტებიც მაღალ დონეზე ფუნქციონირებდნენ, მაგრამ რუსეთში საბაჟოს საუკუნოვანი ისტორია აქვს. ჩვენთან კი არავითარი ტრადიცია. თუ არ ჩავთვლით წინა ხელისუფლების დროს შექმნილ საბაჟო დეპარტამენტს, რომელმაც დროის სიმცირის გამო ბევრი ვერაფრის გაკეთება მოასწრო

დღეს, როცა საქართველოს საზღვრები შემოდგომის აზნაურის ღობეს წააგავს, ნამდვილად ძნელია საბაჟო სამსახურის ნორმალურ მუშაობაზე ლაპარაკი.

მართალია, ხუთიოდე თვეში ხელშესახები წარმატება აქვთ, საქართველოს ბიუჯეტში 86 მილიონი მანეთის ნაცვლად 600 მილიონი შეიტანეს, მოახერხეს სახელმწიფო საბაჟო სტატისტიკის შედგენაც, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ რესპუბლიკაში „შავი ბიზნესი", კვლავ თავისუფლად პარპაშებს.

რუსუდან ლორთქიფანიძე.

ამ ტრიალ ქვეყანაზე

ინტეგრაცია თუ კონფრონტაცია ერთიანი დემოკრატიული ეკონომიკური სივრცის შექმნისათვის

დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სახელმწიფოთა მეთაურების შეხვედრა, რომელიც 28 მაისს უნდა გამართულიყო, 14 მაისისათვის გადმოიტანეს. თანამეგობრობის პრესის სამუშაო ჯგუფის სამსახურმა მინსკში გამოაცხადა, რომ თარიღი შეიცვალა რუსეთის პრეზიდენტის ბორის ელცინისა და ყაზახეთის პრეზიდენტის ნურსულთან ნაზარბაევის წინადადებით, **14 მაისის შეხვედრაზე ცენტრალურ ადგილს დაიკავებს ეკონომიკური პრობლემები, კერძოდ, დაკავშირებული ეკონომიკური, საბანკო და საბაჟო კავშირების შექმნასთან, აგრეთვე ყირგიზეთის რესპუბლიკის მიერ ეროვნული ვალუტის შემოღების საკითხი.** თანამეგობრობის, სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურების მინსკის წინა შეხვედრაზე მიიღეს გადაწყვეტილებები თანამეგობრობის ფარგლებში ინტეგრაციული პროცესების დასაჩქარებლად. შეიქმნა საკოორდინაციო-საკონსულტაციო კომიტეტი, რომელშიც შევიდნენ თანამეგობრობის ყველა სახელმწიფოს ვიცე-პრემიერები.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ეკონომიკური კავშირურთიერთობის გაწყვეტამ, დეზინტეგრაციის პროცესებს დაუდო სათავე და უმძიმეს მდგომარეობაში ჩააყენა ყველა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკა, ოლქი თუ მხარე, სამრეწველო წარმოების დაქვეითება, ფასების ზრდა და ჰიპერინფლაცია სოციალური აფეთქების რეალურ საფრთხეს ქმნის.

ბ-ნმა ედუარდ შევარდნაძემ ჯერ კიდევ მოსკოვში მოღვაწეობის დროს პირველმა აუღო ალღო ეკონომიკური დეზინტეგრაციის პროცესების დაწყების უდიდეს საშიშროებას უკლებლივ ყველა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკისთვის და პირველმა მოუწოდა შექმნილიყო ერთიანი დემოკრატიული ეკონომიკური სივრცე. მაგრამ პოლიტიკური დამოუკიდებლობის მიღების ეიფორიულ ვითარებაში ბევრმა ეს ეროვნული დამოუკიდებლობის ხელყოფად მიიჩნია და თუ რა უმძიმესი შედეგები მოჰყვა მჭიდროდ ინტეგრირებული ეკონომიკის ერთბაშად დანგრევას ეს დღეს უკვე ყველასათვის ცხადი გახდა.

საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში უკლებლივ ყველა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკის ეკონომიკის განვითარებისათვის, სოციალურ-პოლიტიკური სტაბილურობის მისაღწევად უდიდესი, **სასიცოცხლო მნიშვნელობა ექნება ერთიანი დემოკრატიული ეკონომიკური სივრცის შექმნას, რომლის გარანტი იქნება დემოკრატიული რუსეთი და დემოკრატიული დამოუკიდებელი ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკები.** შეიქმნება მოქნილი ინტეგრაციულ პროცესებში ჩართვის მტკიცე ეკონომიკური და პოლიტიკური საფუძვლები, განმტკიცდება ეროვნული დამოუკიდებლობა და თვითმყოფადობა, შეიქმნება ეროვნული პოტენციის გამოვლენის დიდი სარბიელი.

დღეს როცა მსოფლიო ინტეგრაციული პროცესები კაცობრიობის პროგრესის აუცილებელი პირობა გახდა, დეზინტეგრაცია, კარჩაკეტილობა, თვითიზოლაცია, ფანატიზმი, ჭეშმარიტი, ეროვნული ინტერესების უგულებელყოფად უნდა მივიჩნიოთ.

ირაკლი ჯაფარიძე.

ოფიციალური მოლაპარაკება ანკარაში

ანკარაში გაიმართა რუსეთისა და თურქეთის დელეგაციათა ოფიციალური მოლაპარაკება, რომლებსაც მეთაურობნენ რუსეთის ფედერაციის თავდაცვის მინისტრი პაველ გრაჩოვი და თურქეთის ეროვნული თავდაცვის მინისტრი ნევზათ აიაზი. პ. გრაჩოვმა აღნიშნა, რომ მთელი ძალისხმევის მიუხედავად, ვერ მოხერხდა გამოენახათ აზერბაიჯანისა და სომხეთის კონფლიქტის მოგვარების გზები. ამ კონფლიქტის გაგრძელებაში ბრალი მიუძღვის ორივე მხარეს. თავდაცვის მინისტრი მიიჩნევს, რომ მთიანი ყარაბაღის სტატუსი, რომელიც აზერბაიჯანის ტერიტორიაა, უნდა განისაზღვროს ერთობლივ მოლაპარაკებაზე. პ. გრაჩოვმა თქვა: რუსეთს აღელვებს ის ფაქტი, რომ ზოგიერთი სახელმწიფო აწვდის აზერბაიჯანს სამხედრო ტექნიკასა და ტყვია-წამალს. რუსეთის მინისტრმა აღნიშნა, რომ პრობლემა უნდა გადაიჭრას თურქეთის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და რუსეთის მიერ წამოყენებული სამშვიდობო ინიციატივის ფარგლებში, აზერბაიჯანის, სომხეთისა და მთიანი ყარაბაღის მონაწილეობით.

ვაშინგტონის გადაწყვეტილება

შეერთებულმა შტატებმა მიიღო გადაწყვეტილება არ განახორციელოს სამხედრო აქციები ბოსნიასა და ჰერცოგოვინაში მანამ, სანამ იქ არ გაიმართება რეფერენდუმი სერბ მოსახლეობას შორის საკითხზე იწონებენ თუ არა ისინი ლორდ დევიდ ოუენისა და საირუს ვენსის მიერ შეთავაზებულ მშვიდობიანი მოწყობის გეგმას. ამას იუწყება ამერიკის შეერთებული შტატების საქმიანი წრეების გაზეთი „უოლ სტრიტ ჯორნელი", რომელიც იმოწმებს ადმინისტრაციის მაღალი თანამდებობის წარმომადგენლებს. როგორც გაზეთი აღნიშნავს, გადაწყვეტილება სამხედრო აქციათა განხორციელების გადავადების შესახებ თეთრმა სახლმა მიიღო რუსეთთან და კანადასთან გამართული კონსულტაციების შემდეგ. სწორედ ამ ქვეყნებმა, წერს გაზეთი, მოუწოდეს ბილ კლინტონის ადმინისტრაციას თავი შეიკავოს რაიმე აქციათა განხორციელებისაგან ამ კვირის დამლევისათვის დაგეგმილი კენჭისყრის გამართვამდე.

ტომას პიკერინგი რუსეთში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი

სამშაბათს ხმების დაუთვლელად ამერიკის კონგრესის სენატმა ტომას პიკერინგი დანიშნა ამერიკის შეერთებული შტატების ელჩად რუსეთში. კადრის დიპლომატი, რომელიც ჯორჯ ბუშის ადმინისტრაციაში მეთაურობდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში შეერთებული შტატების მუდმივ წარმომადგენლობას, ტომას პიკერინგი ამ პოსტზე შეცვლის რობერტ სტრაუსს, რომელმაც მოსკოვი დატოვა შარშან ნოემბერში და ახლახან ამერიკა-რუსეთის საქმიანი საბჭოს გამგეობის თავმჯდომარედ დაინიშნა.

„ელექტრონული პრესის" შემუშავების კონსორციუმი

ამერიკის შეერთებული შტატების თხუთმეტმა უდიდესმა საგაზეთო-საგამომცემლო კონცერნმა და ელექტრონულმა კორპორაციამ შექმნეს მომავლის „ელექტრონული პრესის" შემმუშავებელი კონსორციუმი, მომავლის „ელექტრონული პრესა" გულისხმობს გაზეთების გავრცელებას პერსონალური კომპიუტერების მეშვეობით. კონსორციუმის მონაწილეთა შორის არიან ნიუჰაუზის საგაზეთო ტრესტი, „ინტერნეშნლ ბიზნეს მაშინზ" კორპორაცია. „მომავლის ახალი ამბების" პროგრამის ფარგლებში ძირითადი გამოკვლევები განხორციელდება მასაჩუსეტსის ტექნოლოგიურ ინსტიტუტში, პროგრამა გათვალისწინებულია 5 წლისათვის და იგი საგარაუდოდ წელიწადში 1,5-2 მილიონი დოლარი დაჯდება.

პერსპექტივისათვის, როგორც მასაჩუსეტსის ტექნოლოგიური ინსტიტუტის სპეციალისტები მიიჩნევენ, ნებისმიერ ადამიანს, თუნდაც იგი არ იყოს შინ, შეეძლება გამოიძახოს მისთვის სასურველი სტატია ნებისმიერი გაზეთიდან ჯიბის მიკროკომპიუტერის ეკრანზე.

თითო აბზაცით

⊙ ორმხრივი ურთიერთობისა და საერთაშორისო პოლიტიკის მთელი რიგი საკითხები განიხილეს რუსეთის პრეზიდენტის ბორის ელცინისა და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ბილ კლინტონის სატელეფონო საუბრის დროს. საუბარი შედგა ორშაბათს ამერიკის მხარის ინიციატივით, იუწყება რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო.

⊙ „ჩვენ დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ მეზობელ რუსეთთან ურთიერთობის გაფართოებას. თურქეთი და რუსეთი ორი დიდი ქვეყანაა, რომლებსაც ხუთასი წელია აქვთ პოლიტიკური ურთიერთობა", — განაცხადა თურქეთის პრემიერ-მინისტრმა სულეიმან დემირელმა. პრემიერ-მინისტრი შეხვდა რუსეთის ფედერაციის თავდაცვის მინისტრს პაველ გრაჩოვს, რომელიც ოფიციალურ ვიზიტად იმყოფება ანკარაში.

⊙ სევეროდვინსკი, სადაც მდებარეობს რუსეთის ატომური გემთმშენებლობის ცენტრი, კვლავ დახურული ქალაქი ხდება. არხანგელსკის ოლქის მცირე საბჭომ მოიწონა ქალაქის „დახურულ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ წარმონაქმნად" გადაქცევის წინადადება. საშვების სისტემა სევეროდვინსკისათვის შემოიღეს სამოცდაათიანი წლების დამდეგს. გარდაქმნის წლებში აკრძალვა ქალაქში თავისუფალ შესვლაზე, როგორღაც, თავისთავად გაქრა, თუმცა იგი ოფიციალურად არავის არ გაუუქმებია.

ამ ტრიალ ქვეყანაზე

მამულიშვილნი

აუცილებელია საერთო ნიადაგზე დგომა

XIX საუკუნის დასასრულისა და XX საუკუნის დასაწყისის ერთ-ერთ გამოჩენილ საზოგადოებრივ და პოლიტიკურ მოღვაწეს არჩილ ჯორჯაძეს გარდაცვალებიდან 80 წელი შეუსრულდა. მისმა პუბლიცისტურმა ნაწერებმა, ეროვნულმა სამართლებრივმა და პოლიტიკურმა ნააზრევმა დიდი გავლენა მოახდინა ქართულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაზე, ამიტომ თითქმის ყველა მკვლევარი, ვინც XIX საუკუნის დამლევის და XX საუკუნის დასაწყისის ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების და აზროვნების განვითარების საკითხზე მუშაობს, გვერდს ვერ უვლის არჩილ ჯორჯაძის შეხედულებებს.

არჩილ ჯორჯაძემ განათლება ევროპის უნივერსიტეტებში მიიღო. ბრწყინვალედ ფლობდა უცხო ენებს. თითქმის არ დარჩენილა საზოგადოებრივი ცხოვრების არც ერთი სფერო, მას თავისი ავტორიტეტული სიტყვა რომ არ ეთქვას. იგი იყო დიმიტრი ყიფიანის პირველი ბიოგრაფი, ნიკო ნიკოლაძის, ილია ჭავჭავაძის სოციალურ-პოლიტიკური შეხედულებების მკვლევარი, სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის ლიდერი და მარქსიზმის კრიტიკოსი, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის იდეოლოგი, საქართველოს რუსეთთან შეერთების სამართლებრივი შემფასებელი.

არჩილ ჯორჯაძის შეხედულებებს, აზრებს, პრაქტიკულ საქმიანობას დიდად აფასებდნენ თანამედროვენი, რის საილუსტრაციოდ საკმარისია მისი ცხოვრებისა და შემოქმედების ორი მომენტის წარმოჩენაც.

არჩილ ჯორჯაძემ არა მარტო მოიწონა ილია ჭავჭავაძის ეროვნული პროგრამა, არამედ ღირსეულად დააფასა დიდი მწერლის და საზოგადო მოღვაწის თავდადებული პატრიოტული, პრაქტიკული და სამწერლო მოღვაწეობა. იგი ბოლომდე იცავდა იმ აზრს, რომ ილია იყო XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართული საზოგადოებრივი აზრის წარმმართველი და ერის აღიარებული წინამძღოლი. მან თავის შრომაში „პუბლიცისტი — ილია ჭავჭავაძე" მოგვცა ილიას პუბლიცისტური საქმიანობის სრული სურათი. მაშინ, როცა ილიას „განქიქება" მოდად იყო ქცეული, არჩილ ჯორჯაძემ ღირსეულად დაიცვა ილია ჭავჭავაძის სოციალურ-პოლიტიკური მსოფლმხედველობა და მოქალაქეობრივი პოზიცია, მისცა მას ისეთი ღრმა ანალიზი და ობიექტური შეფასება, როგორიც არ გაუკეთებია არც ერთ რევოლუციამდელ მკვლევარს. ამიტომ წერდა 1913 წლის 3 აპრილს ივანე ჯავახიშვილი პეტერბურგიდან მიხეილ გედევანიშვილს: „საუბედუროდ, ის, ვისაც ყველაზე უკეთ შეეძლო ილიას ბიოგრაფიის დაწერა, არჩილ ჯორჯაძე, სამარეში დევს, ესეც ჩვენი ბედი".

არჩილ ჯორჯაძემ სახელი გაითქვა „საერთო ნიადაგზე დგომის" თავისი თეორიით. იგი თვლიდა, რომ საქართველოს ეროვნული ინტერესების დაცვა მოითხოვდა სხვადასხვა კლასების, ჯგუფების და სოციალური ფენების გაერთიანებას ერთი ეროვნული დროშის ქვეშ. ამ თეორიის დედააზრად მიაჩნდა: მშობლიური ენის დაცვა, ქართული ეროვნული ვაჭრობა-მრეწველობის შექმნა, ქართული ეროვნული მეურნეობის განვითარება, თვითმმართველობაში აქტიური ჩარევა და სახალხო მოღვაწეობა. არჩილ ჯორჯაძის აზრით, ზემოაღნიშნული საკითხების გადაწყვეტის სწორი გზა იძულებულს გახდიდა ყველა კლასს, პოლიტიკურ პარტიას და სოციალურ ფენას ერთი მიზნისკენ ევლოთ, ე. ი. საერთო მოქმედების ნიადაგზე დამდგარიყვნენ ეროვნული საკითხის გადაწყვეტაში. „საქართველო იმ ისტორიულ ხანაში ჩადგა, როდესაც საზოგადოების და ხალხის დაყოფა და დაქუცმაცება არ გვესაჭიროება, არამედ მისი გამთელება და გაერთიანება". საერთო ნიადაგის ჯორჯაძისეული თეორიის ანალიზი გვიჩვენებს, რომ იგი ქართული ცხოვრების სინამდვილიდან მომდინარეობდა, მისი ბეჭედი ემჩნეოდა და რევოლუციურ-დემოკრატიული გარდაქმნებისათვის საერთო ბრძოლის ეტაპზე თავისი გამართლება ჰქონდა. საქმე ეხებოდა სხვადასხვა კლასებისა და სოციალური ფენების თანამშრომლობას საერთო ინტერესებისათვის. მართალია, არჩილ ჯორჯაძის „საერთო ნიადაგის თეორია" არ მიიღეს თავის დროზე, მაგრამ ის საბოლოოდ არ დამარცხებულა. ამაზე მიუთითებს მისივე სიტყვები: „როდესაც პოლიტიკური ცხოვრების ზრდა-განვითარების ხელშემშლელი პირობები მოისპობიან, ჩვენს საზოგადოებრივი ჯგუფების წინაშე, მათ პროგრესიული ნაწილის წინაშე, ხელმეორედ წარმოსდგება და იშვება საერთო მოქმედების ნიადაგის გამონახვის საჭიროება, ამ ნიადაგს ახალი შინაარსი ექნება".

ჯორჯაძისეული „საერთო ნიადაგზე დგომის" თეორია არანაკლებ სიმწვავით დადგა დღეს. ჩვენში დღეს ბევრად მეტი პოლიტიკური პარტია და საზოგადოებრივი ორგანიზაციაა, ვიდრე იმ პერიოდში; თითოეული მათგანის ბრძოლის მიზანი როგორც მაშინ, დღესაც თითქოს ერთია, ამიტომ, მით უფრო სჭირდებათ „საერთო ნიადაგზე" დგომა და, ამდენად, მართლდება არჩილ ჯორჯაძის წინასწარმეტყველება, ხელმეორედ იშვება საერთო ნიადაგის გამონახვის საჭიროება და ამ ნიადაგს ახალი შინაარსი ექნება.

დღევანდელი რთული პოლიტიკური ცხოვრების პირობებში არანაკლებ აქტუალურია საქართველოს რუსეთთან შეერთების ჯორჯაძისეული შეფასება. საქართველო-რუსეთის ურთიერთობის სამართლებრივი პრობლემების ანალიზისას არჩილ ჯორჯაძე ცდილობს გაარჩიოს ორი მნიშვნელოვანი პრობლემა: ერთი — მართლა შეიძლებოდა თუ არა ქართველი ხალხის ფიზიკური განადგურება, თუ იგი რუსეთს არ შეუერთდებოდა; და მეორე — რუსეთთან შეერთება იყო თუ არა ბოროტება.

არჩილ ჯორჯაძე ავითარებს აზრს, რომ ქართველ ხალხს უძველესი ისტორია და კულტურა გააჩნია. ათასწლეულ უთანასწორო ომებში გამოიარა და თითქმის ორიათას ხუთასი წლის მძიმე და ტანჯული ცხოვრების შემდეგ XVIII საუკუნის დასასრულს და XIX საუკუნის ზღურბლამდე შეინარჩუნა სახელმწიფოებრიობა. ერები და ეროვნებები „მათ შორის ძლიერნიც, როგორც რიცხობრივად, ისე თავის ისტორიული კულტურით და წარსულით", გაქრნენ ისტორიული სარბიელიდან ჯერ კიდევ ადრეულ პერიოდში, ხოლო XX საუკუნის დამდეგამდე გადარჩენილი არც ერთი ერი აღარ გამქრალა კაცობრიობის ისტორიიდან. თუ ისტორიულ კანონზომიერებას მივენდობით, არც საქართველოს ელოდა სრული ფიზიკური განადგურება. რუსეთთან შეერთებამ საქართველო რუსეთის იმპერიის ერთ-ერთ განაპირა კუთხედ აქცია, ქართველები ორმაგ ჩაგვრას განიცდიდნენ, რაც დიდი ბოროტება იყო. 1783 წლის ტრაქტატის დადებას გარკვეული პროგრესული მნიშვნელობა ჰქონდა, მაგრამ შემდეგ რუსეთმა საქართველო ძალით შეიერთა და უარყო ტრაქტატით გათვალისწინებული ყველა მუხლი და ვალდებულება.

მოგვიანებით, სტალინისეულ შეფასებაზე დაყრდნობით, ქართულ ისტორიოგრაფიაში დამკვიდრდა ტერმინი „მცირე ბოროტება". საკითხი ასე იყო დასმული: ქართველი ხალხის ფიზიკური განადგურება თუ რუსეთთან შეერთება და ფიზიკური არსებობის შენარჩუნება. პრობლემის ასეთი დაყენება საფუძველშივე მცდარი იყო, რადგანაც, როგორც ზემოთ ვნახეთ, ერს სრული ფიზიკური განადგურება არ ემუქრებოდა. მაგრამ ახალი იმპერიის შემქმნელების მიერ ყველაფერი წინასწარ იყო გათვლილი: საჭირო იყო მცირე ერებისათვის შეგნებულად განევითარებინათ არასრულფასოვნების სინდრომი, რაც საბოლოოდ, სხვასთან, ძლიერთან, რუსეთთან, უფროს ძმასთან ყოფნის აუცილებლობას მოითხოვდა. არასრულფასოვნების ყალბი სინდრომი დღესაც მყარად არის დამკვიდრებული ჩვენს აზროვნებაში, როდესაც ე. წ. „ცენტრიდან" ხელოვნურად შექმნილი ეკონომიკური სიძნელეებიდან გამომდინარე, ხალხს ექმნება აზრი, რომ დამოუკიდებლად არსებობა შეუძლებელია და რუსეთის ხელისუფლება კვლავ ეძებს პოლიტიკური და ეკონომიკური დაკაბალების ახალ გზებს. მაგრამ საქართველოს რესპუბლიკის უმაღლეს ხელისუფლებას ყოფნის შორსმჭვრეტელობა, პოლიტიკური სიმწიფე — არ დაუშვას რუსეთთან უთანასწორო და ერისათვის საზიანო ხელშეკრულების დადება.

არჩილ ჯორჯაძე 1913 წლის 22 მარტს, ორმოცდაერთი წლის ასაკში გარდაიცვალა. მან იმდენად დიდი თეორიული მემკვიდრეობა დაგვიტოვა, რომ ძნელია ერთ საგაზეთო სტატიაში სრულად წარმოვაჩინოთ მისი ღვაწლი და დამსახურება მშობელი ერის წინაშე. ამას ემატება ის გარემოებაც, რომ ჯორჯაძე ბურჟუაზიული ნაციონალიზმის იდეოლოგად იყო წარმოდგენილი, რომელიც მარქსიზმისა და ბოლშევიზმის წინააღმდეგ იბრძოდა. ამის გამო, მხოლოდ რამდენიმე მკვლევარმა შეძლო გამოეთქვა მეტნაკლებად გაბედული აზრი მის შემოქმედებაზე. მხოლოდ ამ ბოლო ხანს მიიღო მასობრივი ხასიათი არჩილ ჯორჯაძის თეორიული მემკვიდრეობის შესწავლამ. გამოჩნდნენ მეცნიერნი და მკვლევარნი, რომლებიც ახალ ასპექტებს წარმოაჩენენ ჯორჯაძის შეხედულებებში.

გივი ლობჟანიძე.

გვატყობინებენ „საქართველოს რესპუბლიკისა" და საქინფორმის კორესპონდენტები

ამ დღეებში

მოვლენა • ფაქტი • კომენტარი

„ჯარისკაცთა ხსოვნის ფონდი"

ძაძებს იცვამენ დედები, ბოღმას გულში იტრიალებენ მამები, ხელები იძარღვებათ ძმებს, ლოყებს იხოკავენ დები, მხოლოდ საფლავის ბორცვებიღა დარჩათ მოსაფერებლად ცოლებს, პაწიები უიმედოდ ელოდებიან თავიანთ ძლიერ და ლამაზ მამიკოებს. ჩვენი ღიმილის ბიჭები ყველაზე ძვირფასს — სიცოცხლეს სწირავენ საფიცარ მამულს.

ჩვენ, სააქაოს დროებით სტუმართ, გარდაცვლილთა ხსოვნის უკვდავყოფა და მათი თავდაწირვის დაფასება გვმართებს. ასობით ოჯახი დარჩა უნუგეშოდ. მათი უმეტესობა სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს მიერ დანიშნულ პენსიასაც ვერ იღებს, რომ აღარაფერი ვთქვათ სამხედრო პენსიებზე, სამსახურს ვერ შოულობენ უსახსროდ დარჩენილი ქვრივები, ელემენტარული საარსებო პირობები არა აქვთ მამულის ერთიანობისთვის დაღუპულ მეომართა ოჯახებს.

შეიქმნა „ჯარისკაცთა ხსოვნის ფონდი", რომლის მიზანია მორალურად და მატერიალურად დაეხმაროს სამაჩაბლოში, თბილისში, აფხაზეთში საქართველოს ერთიანობისა და თავისუფლებისთვის გარდაცვლილ ჭაბუკთა ოჯახებს. ფონდის დამფუძნებლებია: ავღანელთა კავშირი (ნ. გიორგაძე), ქალთა საბჭო (ზ. კვაჭაძე), ადგილობრივი თვითმმართველობის კომიტეტი (ტ. კალულაშვილი). ფონდის პრეზიდენტად არჩეულია აფხაზეთში დაღუპული პარლამენტარის ნუგზარ მიხანაშვილის მეუღლე მაია ბუხრიკური.

თხოვნით მივმართავთ საქართველოსთვის დაღუპულ ჯარისკაცთა მშობლებს, მეუღლეებს, ახლობლებს, მობრძანდნენ თბილისში, გირკეთის ქას. № 8, ან დაგვირეკონ 98-87-60. საჭიროა დაზუსტდეს გარდაცვლილთა სიები მომავალში ოჯახებისთვის სხვადასხვა სახის დახმარების გასაცემად.

თბილისის საიუველირო ქარხანამ და დიტრიქტიურმა საზოგადოება „დიტამ" უკვე გადარიცხა ფონდის ანგარიშზე თითო მილიონი მანეთი. 16 მაისს „ჯარისკაცთა ხსოვნის ფონდი" აწყობს მამულის ერთიანობისთვის, დაღუპულ მეომართა ხსოვნისადმი მიძღვნილ ღონისძიებას — ტელემარათონს. შემოსული თანხა მოხმარდება ჯარისკაცთა შვილებს, საძმო სასაფლაოს კეთილმოწყობას და აქვე ეკლესიის აშენებას.

დახმარების მსურველებს ვაცნობებთ ფონდის რეკვიზიტებს: სახელმწიფო კომერციული საქ. ინდუსტრიაბანკის საქართველოს რესპუბლიკური ბანკი (მრეწვმშენბანკი) ქ. თბილისი, ჯორჯიაშვილის 14. ანგარიშის № 0007000886 მფო 521921.

სავალუტო ანგარიში: საქ. კომ. „ინდუსტრიაბანკის" სათაო ბანკში 001070531 USD.
002070831 DEM.

მონკავშირის ქველმოქმედება

საქართველოს მონკავშირის პრეზიდიუმმა საქველმოქმედო მიზნებისათვის სხვადასხვა ორგანიზაციებს ჩაურიცხა 1 მილიონ 617 ათასი მანეთი, კერძოდ საქართველოს თავდაცვის ფონდს — 1000 000, ვეტერანთა საერთაშორისო ფონდს — 100.000, ვაკის ადგილობრივი მმართველობის გამგეობას — ლტოლვილთათვის — 100.000, ამბროლაურის განათლების განყოფილებას — 100.000, ღვთისშვილთა კავშირს — 100.000, საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებას — 75.000, თიანეთის რაიონის საქველმოქმედო საზოგადოება „კაიყმა"-ს 82.000, ვაჟა-ფშაველას საზოგადოებას — 30 000, ჯარისკაცთა ხსოვნის ფონდს — 30.000 მანეთი.

გარდა ამისა, თანამშრომელთა პირადი სახსრებიდან საქართველოს თავდაცვის ფონდს გადაერიცხა 10.000 მანეთი.

კრივი

სამნი — მეოთხედფინალში

ფინეთის ქალაქ ტამპერეში დღეს იწყება მსოფლიოს მოკრივეთა მეშვიდე ჩემპიონატის მეოთხედფინალური შეხვედრები კრივში.

ამ ეტაპზე ჩვენი ქვეყნის სამი წარმომადგენელი გამოვა რინგზე — ბარსელონის ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორი რამაზ ფალიანი (მესტია), პაატა გვასალია (ფოთი) და გიორგი კანდელაკი (გორი), რომლებმაც განვლილი ორთაბრძოლები მოუგეს შესაბამისად გერმანელ, ფინელ და მოლდოველ სპორტსმენებს.

სამწუხაროდ, ტურნირის შედეგების გარეშე დარჩა 3 ქართველი „მოჩხუბარი" — კახაბერ ჩიქვინიძე (თბილისი), თენგიზ მესხაძე (ქუთაისი) და ზურაბ სარსანია (ფოთი), რომელთათვისაც დაუძლეველი აღმოჩნდა პირველი ბარიერი.

ხსოვნა

ვლადიმერ ნორაკიძე

გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი მეცნიერი, ფსიქოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე ვლადიმერ ნორაკიძე.

ვლადიმერ ნორაკიძის გამოკვლევებმა ფსიქოლოგიის მრავალი დარგი გაამდიდრა. იგი ბოლო დღემდე ინტენსიურად მუშაობდა როგორც პიროვნების ფსიქოლოგიისა და ქარაქტეროლოგიის, ისე დეფექტოლოგიის, სპორტის და შემოქმედებითი ფსიქოლოგიის სფეროებში. ვლადიმერ ნორაკიძე დ. უზნაძის ერთ-ერთი პირველი მოწაფე და მიმდევარი იყო. მან თავისი თეორიული და ექსპერიმენტული გამოკვლევებით ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა დ. უზნაძის მიერ ჩამოყალიბებულ განწყობის თეორიის განვითარებაში, შექმნა განწყობის ტიპოლოგიის მოდელი, რომელსაც დღეს არა მარტო ქართველი, არამედ მრავალი უცხოელი მეცნიერი იყენებს.

ვლ. ნორაკიძის მიერ შედგენილ „ბავშვის ფსიქოლოგიის" სამ ტომში გარკვეული სისტემის სახით მოცემულია მთელი ის ცოდნა, რაც დადგენილი იქნა ჩვენში ბავშვის ფსიქოლოგიის განვითარების შესახებ. ბოლო წლებში ვლ. ნორაკიძე ინტენსიურად მუშაობდა ქართული ეროვნული ხასიათის პრობლემის შესწავლაზე.

საქართველოს საზოგადოებრიობა არასოდეს დაივიწყებს ღირსეული მამულიშვილის, შესანიშნავი მოქალაქისა და მეცნიერის ამაგს და მუდამ მადლიერებით მოიხსენიებს მის სახელს.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის
დ. უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის
ინსტიტუტი.

ვახტანგ თოხაძე

გარდაიცვალა ღვაწლმოსილი სამეურნეო მუშაკი ვახტანგ ზაქარიას ძე თოხაძე.

მრავალმხრივი იყო ბატონი ვახტანგის შრომითი საქმიანობა. 1941 წელს პოლიტექნიკური ინსტიტუტის არქიტექტურულ-სამშენებლო ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ მან განვლო ხანგრძლივი შრომითი გზა მასწავლებლიდან რესპუბლიკის ვაჭრობის მინისტრამდე. აღსანიშნავია ვახტანგ თოხაძის, როგორც ხელმძღვანელის, ღვაწლი ოზურგეთის რაიონის სახალხო-სამეურნეო და კულტურული ცხოვრების ამაღლებაში. მისი ორგანიზატორული უნარი სრულად გამოვლინდა 1968-1978 წლებში რესპუბლიკის ვაჭრობის მინისტრად მუშაობის პერიოდში.

ბატონი ვახტანგ თოხაძის ხსოვნა დიდხანს დარჩება მისი ახლობლების, კოლეგებისა და მეგობრების გულში.

საქართველოს რესპუბლიკის ვაჭრობისა
და მატერიალური მომარაგების სამინის-
ტრო; ქ. თბილისის მერიის ვაჭრობისა და
მომსახურების სამმართველო.

მოსე გორგოძე



გარდაიცვალა სახალხო განათლების წარჩინებული, რესპუბლიკური მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი, რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი, შრომის ვეტერანი მოსე სავლეს ძე გორგოძე.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ იგი დაბრუნდა თავის მშობლიურ ბაღდათის რაიონში, მუშაობა დაიწყო განათლების განყოფილებაში სასკოლო ინსპექტორის თანამდებობაზე, შემდეგ მუშაობდა რაიონის სხვადასხვა საშუალო სკოლის დირექტორად, 1969 წლიდან გარდაცვალებამდე განათლების განყოფილების მეთოდკაბინეტს ხელმძღვანელობდა.

მოსე გორგოძე ყოველთვის გამოირჩეოდა პატიოსნებით, ყურადღებიანობით და ასეთივე დარჩება იგი მეგობრებისა და მრავალრიცხოვან აღზრდილების გულში.

მეგობრები.

აუქციონი! აუქციონი! აუქციონი!
ბატონებო!
იყიდება ჰიდროელექტროსადგური

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო და ფირმა „მედსერვისი" 1993 წლის 11 ივნისს 12 საათზე აწყობენ ღია აუქციონს, რომელზეც გამოტანილი იქნება ლაგოდეხის რაიონში, მდინარე კაბალაზე მდებარე კაბალ-ჰესი.

კაბალ-ჰესი ექსპლუატაციაში შევიდა 1952 წელს. მისი აგრეგატების სიმძლავრეა 1 500 მგ. ვტ., განლაგებულია 0,5 ჰა ფართობზე. საწყისი ღირებულება შეადგენს 17 426 018 კუპონს.

აუქციონი გაიმართება ქ. თბილისში, საქართველოს რესპუბლიკის ჯანდაცვის სამინისტროს საქტო დარბაზში. (კონსტანტინე გამსახურდიას გამზირი, № 30).

აუქციონში მონაწილეობის მიღების მსურველთა განცხადებები მიიღება 1993 წლის 10 ივნისის დღის 12 საათამდე.

დაინტერესებულმა პირებმა დამატებითი ინფორმაციის და გაყიდვის პირობების გასაცნობად მოგვმართეთ ფირმა „მედსერვის"-ს მისამართზე: ქ. თბილისი, ბუაჩიძის ქ. № 2, ტ. 60-69-00, 61-22-51.

მობრძანდით, გელით!

ვისაც გაქვთ სათანადო მომზადება და საკმარისი სახსრები — გადაწყვიტეთ! მომხმარებლების და პირადად თქვენი მომავალი კეთილდღეობა თქვენს ხელშია.

ხიდები

ლონდონში, ქართული კულტურისა და ბიზნესის ცენტრში...

დიახ, ასეთი ცენტრი მართლაც იქნება, უფრო სწორად, უკვე პრაქტიკულად არის ლონდონის ცენტრალურ ნაწილში მდებარე სამსართულიანი სასახლის სახით. თუმცა ამისა და სხვა რამის შესახებაც ესაუბრება ჩვენს კორესპონდენტს ქართულ-ინგლისური კულტურისა და ბიზნესის ცენტრის „მთვარის გლობუსის" კომერციული დირექტორი ზურაბ სიხარულიძე.

— როდის და ვისი ინიციატივით შეიქმნა „მთვარის გლობუსი?"

— ცენტრი-ფირმა „მთვარის გლობუსი" შეიქმნა 1988 წელს ცნობილი კინორეჟისორის გიორგი ლევაშოვ-თუმანიშვილის პირადი ინიციატივით და მისი ერთ-ერთი ფილმის სახელწოდების მიხედვით ეწოდა ეს სახელი. ბ-ნი გიორგი გახლავთ ქართულ-ინგლისური კულტურისა და ბიზნესის ცენტრის პრეზიდენტი. მას მჭიდრო საქმიანი კავშირი ჰქონდა ლონდონის ტელევიზიის მე-4 არხის მუშაკებთან ფილიპ ვაითპაუსთან და დევიდ როუმთან, რომლებთან ერთადაც გადაღებული აქვს მრავალი დოკუმენტური თუ მხატვრული ფილმი. 1992 წლის ბოლოს შედგა ერთობლივი სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის „ბედიანის" პრემიერა. ქართულ-ინგლისური კულტურისა და ბიზნესის ცენტრის შექმნის იდეაც აღნიშნულმა კონტაქტებმა განაპირობა.

— რა მიზანს ისახავს „მთვარის გლობუსი" და როგორ გესახებათ მისი მომავალი?

— თქვენმა კითხვამ ერთ-ერთი ქართული გაზეთის სტატია გამახსენა სათაურით „გსურთ ინგლისში გამგზავრება?" მასში ნათქვამია, რომ ჩვენი ფირმის შუამავლობით თურმე ინგლისური ენის მცოდნე გოგონები უნდა გაიგზავნონ ლონდონის არაპრესტიჟულ უბნებში არსებულ იაფფასიან ბარებში სამუშაოდ, სადაც ექნებათ ერთჯერადი კვება და კვირაში სულ რაღაც 16 გირვანქა სტერლინგი. კიდევ სხვა რამეებიც წერია იმ სტატიაში, მაგრამ აქ უნდა დავაზუსტო მხოლოდ ერთი რამ: სტატიაში ავადხსენებული კაფე (და არა ბარი) ემსახურება ჩვენს მიერ ლონდონის კოლეჯებში მივლინებულ მოსწავლე ახალგაზრდებს, ყველას, ვისაც სურს ლონდონის სპეციალიზებულ კოლეჯებში გაიაროს ინგლისური ენის ინტენსიური სწავლების კურსები. მსმენელთათვის გამოყოფილია ფირმის აპარტამენტები და ზემოაღნიშნული კაფეც მათ განკარგულებაშია.

რაც შეეხება ჩვენი მომავლის გეგმებს, ისინი საკმაოდ სერიოზულია. ქ. ლონდონის ინზლიგტონის რაიონის მერმა ქალაქის ცენტრში (კრენკვილ როუდზე) გადმოგვცა ისტორიული სამსართულიანი სასახლე. ამის შესახებ, ჩვენი ფირმის პრეზიდენტი ვიდეომასალით წარსდგა კიდეც ტელემაყურებელთა წინაშე. მე მხოლოდ დავუმატებდი, რომ აღნიშნულ სასახლეში შეიქმნება საქართველოს რესპუბლიკის კულტურისა და ბიზნესის ცენტრი, წარმოდგენილი იქნება ქართული ხელოვნების ნიმუშთა მუდმივმოქმედი საგამოფენო დარბაზი. აქვე განლაგდება ოფისები ქართული ფირმებისათვის, მოთავსდება საქართველო-ინგლისის ერთობლივი ბანკი, საქართველოს რესპუბლიკის სამთავრობო წარმომადგენლობა. სასტუმრო და ქართული რესტორანიც აქვეა დაგეგმილი.

— რა საქმიანობას ეწევით დღეს?

— ჩვენი ყოველდღიური საზრუნავია, ერთი მხრივ, ინგლისური ენის შემსწავლელ მსმენელთა ჯგუფების დაკომპლექტება, მათი დოკუმენტაციის მომზადება და მსმენელთა გამგზავრება. ეს ყოველივე, თუ შეიძლება ასე ითქვას, ნახევრად საქველმოქმედო და ერისთვის ერთობ საჭირო საქმედ მიგვაჩნია, მეორე მხრივ ვმუშაობთ ზემოაღნიშნული სასახლის რეკონსტრუქციის პროექტის შედგენასა და ხორცშესხმაზე. განზრახული გვაქვს წლის ბოლოსათვის სასახლის ამოქმედება, სადაც ჩვენი ინგლისური ენის მცოდნე ახალგაზრდები გაიგზავნებიან სამუშაოდ.

თემურ ბუაჩიძე.

ერთად უნდა ვებრძოლოთ

ნიღბიანი „რაინდები" და „უიღბლო ჯენტლმენი"

ყველა შეაშფოთა 7 მაისს და შემდეგ დღეებში ქალაქ ბოლნისში მომხდარმა ამბებმა. წაყრუებამ, უპასუხისმგებლობამ, ჩამოსახლებული და ადგილობრივი მოსახლეობის პრობლემებისადმი ხშირად სასხვათაშორისო, ნიჰილისტურმა დამოკიდებულებამ „შედეგი" გამოიღო. ბოლნისისა და დმანისის რაიონებში ყაჩაღთა თარეშისაგან გაწამებული ხალხის ბოღმამ გადმოხეთქა. მე ერთ-ერთ მიმოხილვაში მივუთითებდი კიდეც მოსალოდნელი საშიშროების შესახებ, მაგრამ კვანძი ნავარაუდევზე გაცილებით ადრე გაიხსნა. ამჯერადაც სახელმწიფოს მეთაურის ბრძნულმა, შორსმჭვრეტელურმა პოლიტიკამ გვიხსნა,„ ეს პრობლემები გროვდებოდა 2-3 წლის განმავლობაში"... სრულიად სამართლიანად აღნიშნა მან თავის ტრადიციულ ორშაბათის რადიოინტერვიუში და მომწიფებული, მეტად საჭირბოროტო საკითხების გადასაწყვეტად სამთავრობო კომისიის შექმნა მოითხოვა. ხანგრძლივი დაკვირვება მიგვანიშნებს, ანალოგიური კონფლიქტების წარმოშობის კერების სიმრავლეზე. სახვალიოდ საქმის გადადებას, კარგად ხედავთ, რა შედეგებიც მოაქვს. ვიყოთ ფხიზლები, ნუ „მოვუხუჭავთ" წუთისოფელს თვალს.

„**გამომძიებელმა** ყველაზე კარგად უნდა იცოდეს კანონი. აგრეთვე, გულისხმიერი, სხვისი ჭირის გულთან ახლოს მიმტანი, ნამდვილი ადამიანი უნდა იყოს, რათა თავისი უპრინციპობითა და სიკერპით ტყუილუბრალოდ ვინმე არ გააუბედუროს. მასვე სჭირდება ხარის ენერგია, ჩამოყალიბებული, გაწონასწორებული ხასიათი, ძლიერი ნებისყოფა. ნებისმიერი საქმე მეცნიერულ შრომას ჰგავს და ვერც ერთი კაცი ვერ დატოვებს კვალს გამოძიებაში, თუ ეს თვისებები აკლია". ეს სიტყვები რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს მთავარი საგამოძიებო სამმართველოს განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამოძიების სამმართველოს 1 განყოფილების უფროსმა, ქართული პოლიციის ისტორიაში ერთადერთმა პოლკოვნიკმა ქალმა **ნანა აბულაძემ** პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკ თეიმურაზ წიქარაძის, მისი უმცროსი კოლეგის პოლიციის კაპიტან ზაზა მალუძისა და ივანე კიკუაშვილის მისამართით თქვა.

ხუთი თვეა, იძიებენ ეს ადამიანები საკმაოდ გახმაურებულ საქმეს, რომელიც 1991-1992 წლებში არასაუწყებო დაცვის დარაჯების მოზრდილი, ორგანიზებული, შეიარაღებული ყაჩაღური ჯგუფის „მოღვაწეობას" შეეხება. სარგებლობდა რა ქვეყანაში არსებული უმძიმესი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარებით, ყაჩაღთა ბანდა აწყობდა თავდასხმებს მნიშვნელოვან სამრეწველო ობიექტებზე, ფაბრიკა-ქარხნებზე, და იტაცებდა ყველაფერს, რაც ხელთ მოყვებოდა. კრიმინალური პოლიციის სამძებრო და სამეურნეო და თანამდებობრივ დანაშაულობებთან მებრძოლი სამმართველოების თანამშრომელთა მიერ გამოვლენილ საქმეს გამოძიება ამ ხნის მანძილზე მათთან კოორდინირებულად, შეთანხმებულად ამუშავებდა. პოლიციის სხვადასხვა პროფილის სამსახურების ასეთმა მუშაობამ ნაყოფი გამოიღო. გამოძიების პროცესში გაიხსნა აქამდე უცნობი დანაშაულობანი. ამჟამად, გახსნილი და გამოძიებულია 16 ეპიზოდი. დაპატიმრებულია 13 კაცი. — ნაქურდალს და ნაყაჩაღარს ყიდდნენ ბაზრობებზე, სხვადასხვა კერძო პირებსა და კოოპერატივებზე, — ამბობს ზაზა მალუძე, — ახლა ცნობილია ბევრი „რეალიზატორის" ვინაობა, ბევრისაც კიდევ უცნობია. შეიარაღებულმა ბანდამ 15 მილიონი მანეთის (იმ ფულზე — ზ. მ.), საქონელი გაიტაცა. გამოძიების პროცესში ამოღებულია 7 მილიონის ნაძარცვი.

ისინი №1 საგამოძიებო იზოლატორში „სხედან". ყველა ოჯახის პატრონია. ადრე ნასამართლობა არცერთს არ ჰქონდა. მაშ, რამ უბიძგათ ასეთი უაზრო მოქმედებისაკენ? — იქნებ სიხარბემ, ქაოსურმა დრომ, განუკითხაობის ატმოსფერომ ან უპასუხისმგებლობამ, პროფესიული და ადამიანური თავმოყვარეობის ეშმაკზე მიყიდვამ.. გამოუცნობია ადამიანის სული, და გამოძიებაც, ჯერჯერობით, ნაკლებად სწავლობს ამა თუ იმ დანაშაულის სოციალურ, თუნდაც ფსიქოლოგიურ მოტივებს. არადა, ყოველივე ამის ცოდნას სხვა დროს ძალიან დიდი მნიშვნელობა ექნებოდა მსგავს დანაშაულობათა პროფილაქტიკისთვის ან სულაც თავიდან ასაცილებლად.

ყაჩაღურ ჯგუფთან თანამშრომლობდა მილიციის რამდენიმე თანამშრომელი. კანონი მათთან დამოკიდებულებაშიც არ იქნება ლმობიერი.

გამოძიება ამ თვეში უნდა დამთავრდეს. ჩემი მასპინძლების თქმით, ბრალდებულთა რიგები კვლავ შეივსება.

— „მფარველი" ხომ არ გამოუჩნდა ვინმეს? — ვკითხე თეიმურაზ წიქარაძეს.

— ჯერ არა.

— გამოძიების პროცესში ზეწოლას, ზემოქმედებას ხომ არ გრძნობთ?

— პირიქით, დიდი მხარდაჭერა გვაქვს...

გამომძიებლები თვლიან, რომ ყოველი გაძარცვული ობიექტის ზარალი კაპიკ-კაპიკ უნდა გადამოწმდეს, რადგან ზოგიერთმა ვაი-ხელმძღვანელმა თავისი „ნამოღვაწარიც" ამ „საცოდავებს" არ შეაწეროს.

არასაუწყებო დაცვის დარაჯები ახლა საკუთრების დაცვის პოლიციელებად იწოდებიან, თუმცა, ბევრი მათგანის ტვინი კვლავ წინანდელი სტერეოტიპით აზროვნებს. ბევრია შემთხვევა, როცა გაურკვეველ ვითარებაში იძარცვება ის ობიექტები, რომელთაც აწ უკვე სამხრეებიანი დარაჯები იცავენ. ხშირად თვითონაც არ თაკილობენ სახელმწიფო ქონებაში ხელის ფათურს. გასაღები მათს ჯიბეშია, იარაღი... და გამრუდებული წესით ცხოვრებაც კარგა ხანია შეისისხლხორცეს. ბევრი უკვე ზის, ბევრიც ჩაჯდება, მაგრამ ეს საქმეს მაინც ვერ უშველის. საკუთრების დაცვის პოლიცია უფრო პრინციპული და ყურადღებიანი უნდა იყოს, ეგრეთ წოდებული „ღამის დარაჯების" შერჩევის დროს.

ჩვენი ლიტერატურის კლასიკოსების წყალობით, ყაჩაღებზე მეტად კეთილი და ამაღლებული წარმოდგენა გვქონდა. კაკო ყაჩაღი, სიმონა, ინტელექტუალური აბრაგი დათა თუთაშხია... მთელი თაობები იზრდებოდნენ და იზრდებიან დღესაც მათს მკვეთრად გამოხატულ, გამორჩეულ ინდივიდუალიზმსა და ადამიანურ თვისებებზე. ისინი ხელისუფლებასა და ცხოვრებაზე განაწყენებული, თავმოყვარე, ყოველი უმწეოსა და გაჭირვებულის მოსარჩლე ადამიანები, ვაჟკაცობის, მამაკაცური სათნოებისა და სიკეთის საზომებად აღიქმებიან ყოველთვის. საქართველოს, ეტყობა, ჯოშად აქვს ყაჩაღების სათარეშოდ ყოფნა, მაგრამ დღევანდელი, ნარკოტიკებით შეგულიანებული „მწუხარე დროის რაინდები", საუბედუროდ, უკვე ვერასდროს ვეღარ იქცევიან ლიტერატურის დადებით პერსონაჟებად.

ექვსმა ნიღბიანმა, შეიარაღებულმა ბოროტმოქმედმა სამი ცალი ტელევიზორი „პანასონიკი", ერთი ვიდეომაგნიტოფონი, „ფიშერი", ორკასეტიანი მაგნიტოფონი „ჯვისი", ერთკასეტიანი მაგნიტოფონი „შარპი", ოქროს სამკაულები, სხვადასხვა ტანსაცმელი და ნივთები წაართვა ვანელ მიხეილ მიხელაშვილის ოჯახს.

ღამის ოთხ საათზე, თბილისში, ერთ ოჯახში, სტუმრად მყოფ საქართველოს საზღვაო სანაოსნოს გემის მოტორისტად მომუშავე ლევან მსხილაძეს დაუდგენელმა, შეიარაღებულმა, ასევე ნიღბიანმა ბოროტმოქმედებმა 2225 ამერიკული დოლარი „შეაწერეს".

2941 ამერიკული დოლარი და 80 ათასი მანეთი წაართვეს თურქეთის მოქალაქეს თემელ სარის, მის თანამგზავრს შოთა ხარიტონაშვილს კი 100 ათასი მანეთი „ასწაპნეს", ეს მცხეთის რაიონის სოფელ ჩარდახთან მოხდა.

პოლიციის თანამშრომელთა ვაჟკაცობა და ოპერატიული მოქმედება რომ არა, ეს ყაჩაღობა უთუოდ გინესის წიგნში მოხვდებოდა, ახალციხელმა „რაინდებმა" დღისით, მზისით, ასპინძის რაიონის სოფელ ნიჩორთან მსუბუქი ავტომანქანა, 9 მილიონ 685 ათასი მანეთი და 365 ამერიკული დოლარი წაართვეს თანაქალაქელ, ბათუმის სავაჭრო კოოპერატივ „დიდი მინდორის" მუშას შალვა აბულაძეს. შემთხვევის ადგილიდან ამოღებულია ავტომატი, „მაკაროვისა" და „ნაგანის" სისტემის პისტოლეტები, ავტომანქანა და ნაძარცვის ნაწილი. ყაჩაღები დაკავებული არიან.

ასეა, კოკას ყოველთვის არ მოაქვს წყალი, ბევრი ყაჩაღი კი გასაძარცვად გამიზნულის წინააღმდეგობისა და საკუთარი გაუმაძღრობის მსხვერპლიც კი ხდება. ეს მოხდა გალში. სოფელ ჭუბურხინჯში რევაზ ჩხეტია და მისი მეზობლები უბრძოლველად არ დანებდნენ „ნიღბიანებს". მაშინ ყაჩაღები გამოვიდნენ სახლის ეზოში და დაიწყეს სროლა, რის შედეგადაც ერთი იმათგანი, გია ფილფანი დაიღუპა. დანარჩენები მიიმალნენ.

გულგრილად ვერ გაეცნობი ერთ „ექსტრავაგანტურ" შემთხვევას, რომელიც ოზურგეთში მოხდა. ერთმა უმუშევარმა და ორმა სკოლის მოსწავლემ მოიტაცეს მეცხრეკლასელი გიორგი დოლიძე და ამ უკანასკნელის მშობლებს გამოძალეს 4 მილიონ 500 ათასი მანეთი და 1000 ამერიკული დოლარი. ყაჩაღები პასუხს აგებენ კანონის წინაშე.

სანამდე უნდა მივიდეს არასრულწლოვანი, რომ ასეთი უმსგავსობა ჩაიდინოს. მართლაც დიდი ცოდვა გვჭირს, დიდი გამოცდის წინაშე ვდგავართ...

ყაჩაღობა მოსწონს ბევრს, ციხეში ჯდომა კი არა. კვლავ ხშირია ციხიდან გაქცევისა და გაქცევის მცდელობის შემთხვევები... უნებლიედ „იღბლიანი ჯენტლმენები" გამახსენა 30 წლის პატიმრის გიორგი ჭელიძის საქციელმა. ის ნაგვის მანქანის ძარაზე ნაგვის ქვეშ იმალებოდა... გაუგეს. ვერ გაიქცა. „ჯენტლმენი" უიღბლო გამოდგა.

არ იკლო მკვლელობებმა და პოლიციაზე თავდასხმებმა.

ცუდად დამთავრდა ყაჩაღებისა და პოლიციელ ფირუზ ხუბულურის დუელი. ღამის პირველ საათზე, ისნის რაიონში მირიან ლურსმანაშვილი და გურამ ბუჟაძე ცეცხლსასროლი იარაღის მუქარით ავტომანქანის წართმევას უპირებდნენ მას. პოლიციელმა ერთი ადგილზე მოკლა, მეორე, მ. ლურსმანაშვილი კი დაჭრა.

ვის ეძარცვავთ, ვის ეხოცავთ?

მივეჩვიეთ უბედურებას, გავიშინაურეთ სიკვდილი.

შავ ნიღბებში და იარაღის ტრიალში ილევა წუთისოფელი.

ზაურ მაკარაძე.

სახელმწიფო
საწარმოებს
დაგეხმარებით
სააქციო საზოგადოებად
გარდაქმნის
დოკუმენტების პაკეტის მომზადებაში დაგვირეკეთ
93-18-46, 93-10-53, 93-43-10
ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის
საკონსულტაციო ცენტრი

მთავარი რედაქტორი ზურაბ გოგიაშვილი.
მისამართი, 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. № 14.
ტელეფონები: მთავარი რედაქტორის მისაღები 99-92-26; წერილების რედაქცია 99-78-24.
ავტორებს ვთხოვთ, მანქანაზე ნაბეჭდ 7 გვერდზე მეტი მოცულობის წერილებს ნუ შემოგვთავაზებენ.
გაზეთის ეგზემპლარებში პოლიგრაფიული წუნის შემჩნევისას მიმართეთ გამომცემლობა „სამშობლოს" საგაზეთო კორპუსს, თბილისი, ხოშარაულის 29.
ტელეფონი — 34-73-45.
გაზეთი რეგისტრირებულია საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროში. რეგისტრაციის ნომერი 0488.
SAKARTVELOS RESPUBLIKA
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА
ინდექსი 60484